

ივერია

ფასი ნომრისა 10 კაპეიკი.

№ 7

კვირა, 16 აპრილი

სოფელ კვირძულაში გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; ხუთი თვით 2 მან. 1877—1906 აღდრესი: ქვილისი, ფრეილინის ქ., № 5. ტელეფ. № 922.

სარჩხვი: —რა მიზეზია? ფ. გოგინაიშვილისა. — ნაფიც მსაჯულთა სამართალი, ივ. ზურაბიშვილისა. — ცხოვრება და ხელოვნება, კ. ა. —სა. — თომა მოციქული, ლექსი აკაკისა. — ცეცხლითა და მახვილითა, სვ. ყ. — ნისა — მიტინგები ინგლისში, ს. ქარ — ძისა. — გალატაკების თეორია, (იური გარდენის წერილიდან) თარგ. გ. კ. —სა. — კეთილი მთავარი, ევ. გაბაშვილისა.

რ ა მ ი ზ ე ზ ი ა ?

ამ ორიოდ კვირის წინად განჯის გუბერნიის ერთ კუთხეში — შუშის მაზრაში — მოხდა ისეთი ამბავი, რომელიც თავის შედეგით ჩვენთვის, ქართველებისთვის, განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა, მიუხედავად იმისა, რომ თვით იმ ამბის მსგავსი მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში დღეს, საუბედუროდ, „არ ახალია, — ძველია“. „დამამშვიდებელი“ რაზმი შევიდა შუშაში და თავისი მხედრული ძლიერება დაამჩნია იქაურობას: გაისროლეს ზარბაზნები, დასწვეს სახლები და გააუბატიურეს რამდენიმე ქალი. რაზმს მეთაურობდა ვილაც პოლკოვნიკი ვევერნი, ხოლო გზას უჩვენებდა და „საგმირა“ საქმეზე ამხნევებდა ვილაც მომრიგებელი შუამავალი ერმოლავეი.

ეს არის შუშაში მომხდარი ამბავი. იგი ისეთის ხასიათისა არ არის, რომ ჩვენ, თავის თავზე უსაზღვრო ბარბაროსობის გამოძედილი ქართველები, გავგვიკვიროს და გავგვაოცოს. ამ ბოლო დროს ჩვენ იმდენი ძალმომრეობა განვიცადეთ, რომ თითქო გრძნობა დავგიჩლუნგდა და ამის შემდეგ ვერავითარი ახალი ბარბაროსობა ვეღარ გავგვიკვირვებს. მაგრამ შუშის ამბავს თან მოჰყვა მძლავრი პრაქტიკი სომხის საზოგადოებისა, რომელმაც მიზანს კიდევ მი:ღწია, და ჩვენთვის, ქართველებისთვის, ამ შემოხვევაში უფრო ეს პრაქტიკი არის საინტერესო და ჩვენც მარტო მასზე გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

როგორც კი რაზმმა ძალმომრეობა მოიმოქმედა, ადგილობრივმა სომხის ეპისკოპოსმა მაშინვე საპროტესტო დეპეშა აფრინა ნამესტნიკთან; სომხის ინტელიგენციამ დეპუტაცია გაუგზავნა ნამესტნიკს და აუარებელი დეპეშები სტყორცნა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის გაზეთებს; სომხის ქალებმა დეპეშითვე მიმართეს ნამესტნიკის ცოლს ტფილისში და იმპერატრიცას პეტერბურგში. ყველა ამ დეპეშებში სომხები სრულს თავისუფლებას აძლევდნენ თავის აღფრთხილებულ გრძნობას, ამ საწინებლ ბარბაროსობას ამცნობდნენ მთავრობას და მთელ ქვეყნიერობასაც და ენერგიულად თხოულობდნენ დამნაშავეთა დასჯას. სომხური გაზეთები (რუსულსა და სომხურ ენაზე) დაწვრილებით და დაუფარავად სწერდნენ შუშის სომეხ მცხოვრებთა აკლესია-განადკურებაზე და იერიში მიჰქონ-

დათ პოლკოვნიკ ვევერნსა და შერაზმელ ერმოლავეზე. ერთის სიტყვით, მთელი სომხის საზოგადოება ფეხზე დადგა და, ერთის გრძნობითა და მისწრაფებით გამსჭვალული, ენერგიულად ითხოვდა სომეხთა შეღავებულ ღირსებისა და თავმოყვარეობის დაქმყოფილებას, — დამნაშავეთა სამართალში მიცემას და ბარბაროსულ ძალმომრეობის მოსპობას.

მთავრობამ ვეღარ მოახერხა წაყრუება. ნამესტნიკმა მაშინვე გაგზავნა შუშაში კომისია, რომელშიაც სომხის ინტელიგენციის წარმომადგენელი იღებდნენ მონაწილეობას, და ჯაყალა რაზმის მოქმედების გამოძიება. კომისიამ ადგილობრივ გამოძიის საქმე და დამტკიცებული ფაქტები ძალმომრეობისა ნამესტნიკს აცნობა, რომელმაც ამის გამო, როგორც ვახ. „კავკაზი“ გვაცნობებს, შემდეგი განკარგულება მოახდინა: „1. გაიზავნოს განჯის გუბერნიაში საქირო ზომების მისაღებად ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი მალაშა; 2. პოლკოვნიკის ვევერნის რაზმის მოქმედების გამოძიება მიენდოს სამხედრო გამოძიებელს ცეგე-ფონ-მანტიფელს, და 3. მომრიგებელი შუამავალი ერმოლავეი დროებით დათხოვნილ იქმნეს თანამდებობიდან და იმის საქმის გამოძიება მიენდოს განჯის ვიცე-გუბერნატორს“.

ამ მდგომარეობაშია ჯერ-ჯერობით საქმე. დამნაშავენი სამხედრო გამოძიებლის ხელში არიან და შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამართალში მიცემა არ ასცდებათ. დღეს-დღეობით კი ამ გამოძიების დანიშვნამ ის ნაყოფი მოიტანა, რომ ხსენებულ მაზრაში ჯარის ძალმომრეობა მისწყდა და აღარ ისმის, რომ კახაკთა რაზმი წინანდებულად განაგრძობდეს თავშეშობასა და ხალხის აკლესიას.

ასეა ეს სომხებით დასახლებულ განჯის გუბერნიის პროვინციაში. ახლა გადავხედოთ საქართველოს და გავითვალისწინოთ ის საშინელი ამბავები, რომლებიც ხდებოდა და დღესაც ხდება ჩვენს სამშობლოში. არა თუ რამდენიმე სახლი, არამედ მთელი სოფლები და ქალაქები გადასწვა და გაანადგურა ჯარმა ქართლსა და დასავლეთ საქართველოში. კახაკებმა და სალდათებმა გასძარცვეს და განუკითხავად დახოცეს თვით მთავრობის თვალწინ უმწეო და უბრალო ხალხი, ასობით გახრწნეს და გააუბატიურეს ქალები. ახლაც დღე ისე არ დამდგება და არ გათენდება, რომ ახალ-ახალი გულის შემხარავი ძალმომრეობა არ ჩაიდინონ ჩვენში კახაკებმა და სალდათებმა ქალებზე. ერთის სიტყვით, ჩვენში დღეს ველურობის იმდენი მავალითებია, რომ მათთან შუშის მაზრის ამბავი სასხენებელიც კი არ არის, ასე რომ, თუ შუშაში მომხდარი ძალმომრეობა იყო აღსანიშნავი და ყურადღების ღირსი, მით უფრო აღსანიშნავი და საყურადღებო უნდა იყოს ის აუწყრელი უმსგავსოება, რომლის მსხვერპლად გამხდარია მთელი ქართველი ხალხი.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს არ ხდება და საქართველოს აკლებს აწიოკებას და შურტლად გათვლას არაინი ურადლებას არ აქცევს. შუშაში რამდენიმე სხლის გადაწყვეთ და ათიოდე ქალის გაუპატიურებამ ძალუმი პროტესტი და სწრაფად გამოძიების დანიშნა გამოიწვია, ხოლო მთელი საქართველოს დარბევამ და ასობი ქართველ ქალების გახრწნამ და ზნეობრივ შეურაცხყოფამ ჩემად ჩაიარა, — არც შესაფერი პროტესტი და არც გამოძიება ჯერ არსად სჩანს.

შუშის ამგებზე სომხური გაზეთები ყველაფერს დაუფარავად სწერდენ და მთავრობას არც კი უფიქრია ამის გამო მათ წინააღმდეგ რეპრესიულ ზომების მიღება. ჩვენში კი... მაგრამ განა არ იცოდა ჩვენში „ცნობის ფურცელმა“, როცა თფრილიურად მოსახოვეს, დაურღვეველი საბუთები წარუგდინა მთავრობას ჯარის ძალმომრეობის დასამტკიცებლად. გამოძიების დანიშნის მაგიერად, მთავრობამ ვახეთი დახურა და რედაქტორს გადასახლება მიუსაჯა. შუშაში მთავრობის კომისიები იგზავნება საქმის გამოსაძიებლად, აქ კი გამოძიებლის როლის აღმასრულებელ გაზეთს ძალად აჩუმებენ და რედაქტორს აღმინისტრაციულ წესით სხვაგან ასახლებენ.

შუშის ამგებებისთვის სომხებს აღმოაჩნდათ ეპისკოპოსი აშოთი, რომელმაც ენერგიულ პროტესტით მიმართა მთავრობას. ჩვენც გვყავს ეპისკოპოსები, რომელნიც იმავე სარწმუნოებაზე ლოცულობენ, რომელზედაც მეფე და მისი მხედრობა. მაგრამ ქართველ ქალების გაუპატიურებამ ვერც ერთი ქართველი ეპისკოპოსი საპროტესტოდ ვერ აამხელრა.

სომხებში აღმოჩნდნენ ისეთი ქალები, რომლებმაც სომეხ ქალთა წარმომადგენლობა იკისრეს და აღშფოთებულის გრძნობით თვით იმპერატრიცასაც კი მიმართეს მფარველობის სათხოვნელად. ჩვენ კი გვყავს ისეთი ქალებიც, რომელთაც პირადი ნაკნობობაც კი აქვთ ხელმწიფესთან და იმპერატრიცასთან. ეს ქალები არ არიან არც სოციალისტები, არც რევოლუციონერები; ისინი უარს არ ჰყოფენ ხელმწიფობას, მონარქიას. არ ეტრფიან რესპუბლიკას, — მაშასადამე, პრინციპიალურად ისინი ვერ იქნებიან წინააღმდეგნი ტახტისადმი მიმართვისა და ხელმწიფესთან თხოვნის გაგზავნისა. როცა უკიდურესი მემარცხენე უარპყოფს მთავრობისადმი თხოვნით მიმართვას, ეს ადვილი გასაგებია, მაგრამ ასეთივე უარის ყოფა არ შეუძლია ისეთ დამიანს, რომელიც ძირითადად არ უარპყოფს თვით ამ მთავრობას, და ესეთი ქალები — და მამაკაცებიც — ჩვენში საკმაოდ ბლომად მოიპოვებიან. მიუხედავად ამისა, ქართველ ქალებში არ აღმოჩნდა არც ერთი მანდილოსანი, რომელსაც, თავის დების გაუპატიურებით აღშფოთებულს, ხმა ამოეღო და, თუ პროტესტი არა, სომეხ ქალებსავე თავისი აღშფოთება მაინც გამოეთქვა და დედაკაცთა ნამუსისათვის მფარველობის სათხოვნელად მაინც მიქცეულიყო უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელთა წინაშე.

სომხებმა სადებუტაციო პირებიც აშოვნეს თავიანთ წრეში ნამესტნიკთან გასაგზავნად. რომლებმაც მთელი სომხის საზოგადოების აღშფოთება დაუფარავად გადასცეს კავასიის მთავრობის უმაღლეს წარმომადგენელს. ჩვენშიაც არიან ესეთი წრეების კაცები, რომელნიც შეინაურულად სადარბაზოდაც დადიან ნამესტნიკის სასახლეში. იმ.თ დაუბრკოლებლად შეეძლოთ თავიანთი გრძნობა ქართველ ხალხის გაბიარებების გამო გამოეთქვათ მთავრობის წინაშე, რომლისგანაც ურთიერთობითა და დამოკიდებულებით განშორებულ-განცალკევებულნი არ არიან. მაგრამ აქაც, ამ წრეშიაც, ჩვენი ხალხოსნურ შეურაცხყოფის გამო პროტესტის ჩამი-ჩუმოცი კი არ

გაისმა, ქართველ ქალთა ტირილმა და მოთქმამ მათ ეროვნული მოვალეობა ვერ გაახსენა.

შუშაში მომხდარმა ძალმომრეობამ მთელი სომხის ინტელიგენცია და საერთოდ საზოგადოება დასძრა და გააღმასებული ფეხზე დააყენა. იქ შეიქმნა ძლიერი საზოგადოებრივი აზრი, ერთნაირ ეროვნულ გრძნობა შექმენებაზე დამყარებული, რომელიც ადგილობრივ კალაპოტიდან გადმოვიდა და დაუპრეტელ ნაკადულად მოედდა მთელ ქვეყნიერობის ყურნალ-გაზეთებს. ჩვენც გვყავს ინტელიგენცია, რომლის წევრებმა წერაც იციან, კითხვაც და თავის ხალხის უბედურობის აწერა და მოწინავე კულტურულ ხალხთათვის გადაცემა შეუძლიათ. მაგრამ აქაც იგივე გულგრილობა და უმოქმედობა გამოიქვლიდა...

ერთის სიტყვით, როგორც და რა მხრივაც უნდა შეხედოთ საქმეს, ყოველთვის იმ დასკვნამდე მივღავართ, რომ ქართველობაში არ სჩანს ის ძალა, რომელიც მთელი ერის ხალხოსნურ ცხოვრების მაჯის ცემის გამოიხატევილია. რომელიც ხალხის ეროვნულ ტკივილსა და სულის კვეთბას გამოსთქვამს.

რით უნდა ავხსნათ ის საკვირველი განსხვავება, რომელიც ამ შემთხვევაში ეჩვენება ქართველობას და სომხობას? რა არის მიზეზი, რომ საქართველოს საშინელ უბედურობას ასე უმონაწილოდ შეესტკეპრით ყველანი და, თითქო ყოველგვარი იმედი, გრძნობა და ცნობიერება გაგვეკრობიაო, ხმას არ ვიღებთ და არავითარ საქმიანობას არ ვიჩინებ? რა მიზეზით უნდა ავხსნათ, რომ ისეთი მოვლენა, რომელიც მთელ სომხობას ფეხზე აყენებს და სამოქმედოდ ამოძრავებს, ჩვენ პასივურ, უმოქმედო მდგომარეობაში გვტოვებს და ხალხოსნურ სიცოცხლის მიჩვენებელ ენერგიას არ გვაშლავს? რა მიზეზია, რომ ადგილობრივი მთავრობა სომხებს „ეკრემონიას“ უწევს. შუშის მახრიაში ქალების გაუპატიურების საქმის გამოსაძიებლად კომისიებს ნიშნავს ხოლო საქართველოს დაბა-სოფლებში არა თუ კომისიას არ აგზავნი, არამედ ქართველ ქალთა გაუპატიურების შესახებ კორესპონდენციების დაბეჭდვისთვისაც კი ქართულ გაზეთს ხურავს და რედაქტორს ტუილისიდან ასახლებს?

შეიძლება სომხების მეტი სიფხიზლე ამ შემთხვევაში ვინმე იმ გარეობით ახსნას, რომ ჩვენი მეზობლები ნივთიერად უფრო შეძლებული არიან და მათ ნასწავლი კაცებიც ბლომად ჰყავთ, რომელთაც შეუძლიათ თავიანთ ეროვნულ საქორების გამო მხურვალე და ენერგიული აგიტაცია გასწიონ, როგორც ადგილობრივ, ისე კავასიის საზღვრებს გარეშეც უქვევლია. მრავალ რიცხვოვან ინტელიგენციის ყოლას იმ საგნისთვის, რომელსაც ჩვენ აქ ვცხებთ, თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს. სომეხ ინტელიგენტთა წრეები ბლომად მოიპოვებიან, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთაც. რუსეთის თითქმის ყველა სატახტო გაზეთებს ჰყავთ სომხებში ახლობელი თანამშრომელნი, რომელნიც, რასაკვირველია, თავიანთ ხალხოსნურ გაქირვების დროს ენახე კლიტეს არ დაიდებენ და თავიანთ გაზეთებს მასალად სომხთა საქმეებს ბლომად მიაწვდიან. მაგრამ, ჩვენი აზრით, მართო ინტელიგენციის არსებობის აღნიშვნა არაა საკმარისი აქ აღძრულ საკითხის გასარკვევად. ინტელიგენციის არსებობა ხალხოსნურ გაქირვების დროს რომ უქვევლად საქმიანობის გამომწვევი იყოს, ქართველობა ისე არ უნდა შესტკეპროდეს საქართველოს ახლანდელ აკლებას და შეურაცხყოფას, როგორც იგი ამას დღეს სჩადის, ვინაიდან ნასწავლი კაცები, რომელთაც ინტელიგენტები შეიძლება ვუწოდოთ, ქართველებშიაც

მოიპოვებინ. ჩვენ სწორედ იმ საკითხს ვარკვევთ, თუ რა მიზეზია, რომ სომეხთა გაკირვების დროს მათი ინტელიგენცია ხმას იღებს და დაუღალავ საქმიანობას ეწევა, ხოლო ჩვენი კი დამბლა დაცემულსავით გაჩერებულია. ცხადია, ინტელიგენციის მოქმედება თუ უმოქმედობა ამ შემთხვევაში რაღაც უფრო ღრმა გარემოების შედეგი უნდა იყოს, და ჩვენც სწორედ ამ გარემოების აღმოჩენა და გარკვევა გვწადიან.

ზოგი, ალბად, იმასაც დაასახელებს მიზეზად, რომ რევოლუციონურ მოძრაობაში სომეხებს მონაწილეობა არ მიუღიათ და ამიტომ მათ მთავრობა მეტის „ცერემონიით“ და დაზოგვით ეპყრობათ. უკველია, ამ გარემოებასაც აქვს თავისი მნიშვნელობა, მაგრამ იმდენი მინც არაა, რომ იგი სკამარისი იყოს საგნის სახეებით ასახსნელად სომეხები არა თუ ახლა, ოქტომბრის შემდეგ, არამედ წინადაც არ ეწვეოდნენ რევოლუციონურ მოძრაობას,—საეკლესიო მამულების დასაბრუნებლად გაწეული ტერორი რევოლუციონურ მოძრაობად არ ჩაითვლება,—მაგრამ მთავრობა მათაც სწავრავდა და ავიწროებდა ეროვნულად. ახლაც ხარბზნების და კახაკების გაგზავნა სომეხებთან დასახლებულ ზოგიერთ პრევიციებში არ ამტკიცებს მინცა და მინც მთავრობის დიდ მეგობრულ გრძნობას სომეხების მიმართ. და თუ, მიუხედავად ამისა, მთავრობა მათს პროტესტს ყურადღებას აქცევს და იძულებულია თავის აგენტების მოქმედების გამო გამოძიებაც დანიშნოს, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მარტო იმ გარემოებაში, რომ სომეხები რუსეთის საერთო რევოლუციაში არ იღებდნენ მონაწილეობას და ამიტომ მათ მთავრობა თავზე ხელს უსვამს, არამედ უფრო იმაში, რომ სომეხთა პროტესტი, როცა იგი ჰათს საერთო ეროვნულ საქმეს შეეხება, ყოველთვის მძაფრი და ერთსულოვანია, და მასში გამოიხატება მთელი ხალხის კავრთიანებული ეროვნული ძალა, რომლისთვისაც ანგარიშის გაწევა მთავრობას საქიროდ მიანჩია. ეროვნული თვითშეგნება დიდად განვითარებულია ყოველ სომეხში,—როგორც ინტელიგენციაში, ისე დაბოი ხალხშიაც, და ეს თვითშეგნება ეროვნების დაცვის საქმეში აერთიანებს ხალხის ყველა კლასსა და წოდებას და აძლევს დიდ ზნეობრივ ძალას ყოველ მათს ეროვნულ პროტესტს და მოთხოვნილებას.

ამ ზომის ეროვნული თვითშეგნება და ერთსულოვნობა არ არსებობს ქართველებში. ესაა მიზეზი, რომ საქართველოს შეუბრალებელი აკლება და ზნეობრივად გასრესა ხმახალად პროტესტს არ იწვევს ქართველობაში; გვევა მიზეზი, რომ მთავრობა, რომელიც არავითარ გაერთიანებულ ეროვნულ ძალას და შეთანხმებულ მისწრაფებას არ ხედავს ქართველებში, ყურადღებას არ აქცევს ჩვენში ჯარის მხრით ჩადენილ ისეთ საზიზღარ საქმეებს, რომელთათვისაც თვით იმავე მთავრობის მიერ შექმნილ კანონებით კატორგაა სასჯელად დაწესებული.

ესაა ფაქტი, რომელიც დღესავით ცხადი დანათელი არის. მაგრამ ფაქტის აღნიშვნა არ ნიშნავს კიდევ მის ახსნას და გარკვევას. რომ ეროვნული მისწრაფება, რომ ხალხოსნური ერთსულოვნობა ქართველებში შედარებით მცირე და სუსტია,—ამას ყველა ხედავს, მაგრამ იმას კი, თუ რა და რა გარემოება უწყობს ხელს ამ სიმცირესა და სისუსტეს,—ფიქრობთ,—ყველა ვერ ამჩნევს და ვერც ხედავს. ამიტომ საგნის ამ მხარეზე ყურადღების მიქცევა და მისი გათვალისწინება ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმირო და სასარგებლოა.

ჩვენი ცხოვრება ძალიან გვიან გამოვიდა ფეოდალურ ურთიერთობის კალაპოტიდან. მაშინ, როცა ეკონომიურად

ყოველი სოფელი განცალკევებული იყო და მეორესთან მას თითქმის არაფერი არ აკავშირებდა, როცა ხალხი ბატონყმურ უღელში იყო გაბმული და სწავლა-განათლების არა იცოდა რა, ეროვნული თვითშეგნება და თვითგამორკვევა, რასაკვირველია, მასიურ ხასიათს ვერ მიიღებდა. ის მამულიშვილური გრძნობა, რომელსაც დამდრდენ ჩვენი მგონები მწერლობაში, სრულებით უცნობი და გაუგებარი იყო ხალხის დიდ უმრავლესობისთვის. მასთან თვით მამულიშვილობის ქადაგებას მაშინ აკლდა გარკვეული რეალური შინაარსი, მასში არ იყო გატარებული მშრომელ ხალხის ცხოვრების ინტერესები. და, ამგვარად, იმდროინდელ ეროვნულ იდეას ხალხში უკარგავდა ნიადაგს რეალულ ცხოვრების განუვითარებლობა და თვით ამ იდეის არსებითი ბუნდოვანობაც.

ეროვნულ თვითცნობიერების გაძლიერებას ნიადაგი მიეცა მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენს ცხოვრებას დაეტყო მოქალაქობრივობა, როცა შესამჩნევად დაიძრვა ძველებური კარჩაქეტლობა და განვითარდა თანაქდროვე რიული საზოგადოებრივი ურთიერთობა და დამოკიდებულება. ვაქრობა, მრეწველობა, საერთოდ აღებ მიცემობა ყველას გარედ სდენების კარჩაქეტულ ოჯახიდან. ცხოვრების ახალი მოთხოვნილება აუცილებლად ხდის სკოლების გამრავლებას და სწავლა-განათლების გავრცელებას. და, ამგვარ პირობებში, ადამიანი ბევრ ისეთ რამეს ხედავს, რასაც წინეთ ვერ ამჩნევდა და ვერც გრძნობდა. ცხოვრების პირობების გართლებების გამო უკანასკნელ ყრუ სოფლის გლეხისთვისაც კი წინანდელზე უფრო საქირო შეიქმნა წასვლა-მოსვლა, ქალაქურ ცხოვრების გაცნობა, სხვა და სხვა ჯურის ხალხთან შეხვედრა, სასამართლოებში თხოვნით მიმართვა, ადმინისტრაციასთან და სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან საქმიან დამოკიდებულების გაბა და სხვა. და ასეთ გარემოებაში აუცილებლად იწყება ადამიანის ეროვნული თვითგამორკვევა. ჯერ ერთი სხვა და სხვა ჯურის ხალხთან შეხვედრა და მათ წრეში დროებით მოქცევა პსიხოლოგურის აუცილებლობით იწვევს თვითგამორკვევის პროცესის დაწყებას. გარდა ამისა ცხოვრების სინამდვილესაც ძალა უნებურად უნდა დაეყენებია თითოული ქართველი ეროვნულ თვითგამორკვევის გზაზე. სასამართლოში, სკოლაში, ადმინისტრაციაში, ყოველ სახელმწიფო დაწესებულებაში რუსულის არ მკოდნე გლეხს და მუშას თარჯიმანი უნდა ეძებნა. გარუსების პოლიტიკას, რომელსაც მოურიდებლად და დაუნდობლად ეწვეოდა ჩვენში რუსეთის მთავრობა, ბრმაც კი უნდა გამოეფხიზლებია და თვალები გაეხილებინა.

მაგრამ ასეთ ხელის შემწყობ პირობებში ჩვენმა ინტელიგენციამ ვერავითარი იდეური შემოქმედებათი ძალა ვერ გამოიჩინა. მას აზრადაც არ მოსვლია, ხალხს დაახლოვებოდა და ცხოვრების ხელის შემწყობ ნიადაგზე შესაფერი შემეცნება განვითარებია და ხალხში ეროვნული ცნობიერება აემალღებია. იმან კაბინეტურში მოიკალათა და ბანკებსა და სხვა მსგავს თბილ ალაგებთან დაწესებულებებში „მოღვაწეობით“ ლამობდა ვითომ ქართველ ხალხს გაბედნიერებას. ამგვარ „საქმის ხალხს“ გამოეთიშა მხოლოდ მცირე ნაწილი მეტად ენერგიულ და მტკიცე რწმენით აღჭურვილ ახალგაზდათა, რომელნიც პირდაპირ ხალხს მშრომელ ელემენტს დაუახლოვდენ და მას გონებრივად განვითარებას შეუდგენ. ეს გახლდათ მაშინდელი „მესამე დასელები“ და ახლანდელი სოციალდემოკრატები. ამ პატარა

ჯგუფმა თავის მაგალითით ყველას დაუმტკიცა, თუ რა დიდ საქმის შესრულება შეუძლია თვით ხალხთან დაახლოვებას და ხალხთან ერთად განსახლებულ სახელმძღვანელო გეგმისა და იდეის მიხედვით მოქმედებას. ამ თხუთმეტობედ წლის განმავლობაში წინანდელი პატარა ჯგუფი საქმალ მრავალ რიცხვოვან პარტიად გადაიქცა.

მკითხველმა უჩვენოდაც იცის, თუ როგორ უტკეპრის ეროვნულ საკითხს ჩვენებური სოციალდემოკრატია, და ამიტომ ადვილად წარმოიდგენს, რომ იგი არა თუ გამწვანებული ეროვნულ გრძნობა-კნობიერებისა, არამედ ყოველგვარ „ნაციონალიზმის“ დაუნდობელი მტერი იქნებოდა. ჩვენებური სოციალდემოკრატები აღიარებენ, „რომ პროლეტარს სამშობლო არა აქვს“, რომ „ეროვნული საკითხი“ ბურჟუაზიის ინტერესების დასაკმაყოფილებლად შეთხზული ზღაპარია, რომ არსებობს მხოლოდ კლასობრივი ბრძოლა და არა არს რა გარეშე ამ ბრძოლისა. სანამ ხალხში მარტო ისინი ეწეოდნენ პარტიულ პროპაგანდას, ქართველი სოციალდემოკრატები მაინცა და მაინც არ იყვნენ ამხედრებული „ნაციონალიზმის“ წინააღმდეგ, მაგრამ როგორც კი გამოჩნდა ერთი ახალი პარტია, რომელმაც ეროვნულ საკითხსაც მიაპყრო ყურადღება, იმათ მაშინვე მთელ თავის პროპაგანდისტთა ლაშქრის მობილიზაცია მოახდინეს და ყველაფერს „ეროვნულს“ სასტიკი ომი გამოუცხადეს. ნაციონალურ იდეის გასაბიბრებლად და ხალხში მისდამი ნდობის დასაკარგავად ისინი არ ერიდებოდნენ საშუალებების სიფაქიზეს, არ ერიდებოდნენ სიყალბის გავრცელებასაც. კახეთის ერთ სოფელში, მაგალითად, შარშან ერთი სოციალდემოკრატი პროპაგანდისტი ასე უხსნიდა ხალხს, თუ რას ნიშნავს ეროვნული ავტონომია:

— რუსეთში 130 მილიონი ხალხია, რომელიც დატვირთულია აუტანელ გადასახადებით. მთელი ეს ფული ინარჩუნებ მფეის სასახლეზე და მაინც არ ჰყოფნის. 130 მილიონი ხალხი ვერ უძლებს ერთი მფეის შენახვას, და აბა წარმოიდგინეთ, თქვენც რომ ცალკე ერთი მფეე დაგიყენონ, განა შესძლებდით მის რჩენას?

— ვერა, შენი კირიმე, ვერ შეეძლებდით, — იგრილებს ხალხი.

— და აი, ხომ ხედავთ, ვერ შესძლებდით. ავტონომია კი მეფობის შემოღებას ნიშნავს. ავტონომისტებს უნდათ საკუთარი მფეე დაგინიშნონ და გარჩენიონ ქართველებს!

— არ გვინდა ავტონომია! ძირს ავტონომია!.. ყვირის ხალხი.

თქვენ იტყვიან, ასე ცარიელ სიტყვით ხალხი როგორ დაიჯერებს რამესო. სცდებით, — გაუნათლებელი და გონებრივად მოუმზადებელი ადამიანი ხშირად ისეთ რამეს დაიჯერებს და ირწმუნებს, რაც ცოდნის საფუძვლით სრულიად დასაჯერებელი არაა. ამ შემთხვევაში მის დაჯერებ ს რწმენა და მისწავლებლისადმი ნდობა უდიდეს საფუძვლად და არა ლოდიკური ანალიზი და ცოდნა. ამის მაგალითსაც მოგახსენებთ. შარშან გურიის ერთ დაბაში სახალხო კრება იყო გამართული, სადაც ერთმა თურქნალისტმაც ილაპარაკა და, სხვათა შორის, სთქვა, რომ ამ საგანში (დასახელო) მარქსი შესცდოა. წამოვარდა ერთი იქ დამსწრე გლეხი და კინაღამ თავბრირი დაამტვრია: როგორ, მარქსი როგორ შესცდებოდა? და რა გონათობ, — იცოდა იმგლეხმა, თუ ვინ ან რა იყო მარქსი?

ამგვარად, გაცხარებულ პროპაგანდის წყალობით, საქმე იქამდის მივიდა, რომ ყვეოვან, სადაც სოციალდემოკრატებს ფეხი მაგრად ჰქონდათ მოკიდებული, „ქართველი“ და „ნა-

ციონალისტი“ საღანძღავ სიტყვად გადაიქცა გურული გლეხი მეორეს „ნაციონალს“ დაუძახებდა, როცა მისი შეურაცხყოფა უნდოდა. თვით ჩემს სოფელში, როგორც გადამოქცეს, ერთი ჩემი მეზობელი გლეხი სულიერ სასოწარკვეთილებას ეძლეოდა თურმე იმისგან, რომ მას ვალაცამ „ნაციონალი“ დაუძახა. „როგორ ავიტანო ასეთი შეურაცხყოფა, — ამბობდა ის გულუბრყვილო ადამიანი, — ვის რა დავუშავე, რომ ასეთს ჩირქი ზომცხეს, — ნაციონალი დამიძახესო“. და ან კი რა გასაკვირია? მე ვიცი, რომ ამ კაცს და მასთან ერთად ათას სხვასაც პროპაგანდისტი ს-ფელში მთელ საათობით აძახებდა: „ძირს ნაციონალისტებო“.

ღიად „ნაციონალისტი“ საღანძღავ სიტყვად გადაიქცა, და ისიც სად? ჩვენში, სადაც არ მოიპოვება არც ერთი მწერალი, არც ერთი ადამიანი, რომლის „ნაციონალიზმი“ ეროვნულ თავისდაცვის ფარგალს გადადიოდეს! სწორედ საბრაკოა ის შფოთიანი ამხედრება, რომელიც ჩვენ ვიხილეთ სოციალდემოკრატების მხრით წარსულ წელს ეროვნულ საკითხის შესახებ კამათის დროს. ავტონომიებივთ ყვიროდნენ: „ძირს ავტონომიო“ და ასეთი ყვირილი მათ იდეოლოგებს ახარებდა და პირზე სიამოვნების ღიმილს ჰგვირდა.

ეს იყო ქალაქში, სადაც ასე თუ ისე პარტიის უფრო შეგნებული წევრები არიან. სოფლებში ხომ ყოველ უფიცობას დიდი ასპარეზი აქვს და სოციალისტურ მოძღვრების გარყენასაც ასპარეზი დაურჩა. გურიაში, სხვათა შორის, ლოზუნგი იყო: „ძირს ნასწავლი კაცებო“, ქართლში: „განადგურება თავადაზნაურებს და მღვდლებსო“, ხოლო თუ როგორ ემოდა დიალექტიკაში გაუწფველ ქართულ გლეხს სიტყვა „განადგურება“, ეს ადვილი გასაგებია. ევროპიდან ქართლში გადმოტანილმა სოციალიზმმა ანარქიზმში შესტოპა და გატერორისტ-განანარქისტდა... აღარავინ იცოდა, ვინ ვისა და რისთვის ჰკრავდა ტყვიას და საიქიოს გაისტუმრებდა...

ყოველ რვეოლუციონურ მოძრაობას ბნელი მხარეებიც თან ახლავსო, იტყვიან თქვენ. მართალია, მაგრამ ფაქტი მაინც ამით არ იცვლება. და ასეთ გარემოებაში, განა გიკვირთ, რომ დღეს, ამ საერთო ხალხოსნურ გაქირვების დროს, ეროვნული ერთსულოვნობა არ ეჩნევა ქართველობას? განა გიკვირთ, რომ მთავრობაც, ხედავს რა ჩვენს დაქსაქსულობას და ერთმანეთის კამიობას, აინუნში არ იგდებს ჩვენს გათელვას? მაგრამ აქ გასაკვირი არა არის რა. აბა რა ზნობრივი ძალა უნდა დაუყენოს წინ ვინტოვკებით შეიარაღებულ მთავრობას ეროვნულ შეურაცხყოფისთვის საპროტესტოდ ისეთმა ხალხმა, რომლის სხვა და სხვა ჯგუფები ერთმანეთთან ვერაფერში ვერ შეთანხმებულან?

ასეა ეს დღეს. ასე იქნება ხვალაც? ჩვენ იმედი გვაქვს, რომ — არა, ვინაიდან გვჯერა, რომ ის შემოხსენებული გურული გლეხიც გაიგებს ოდესმე სიტყვა „ნაციონალისტი“ ნამცირულ წინაშეგლობას და შეურიგდება თავის „შეურაცხყოფას“...

ფ. გოგინიაშვილი.

ნათეს მსაჯულთა სამართალი

III

თუ კანონი სრულებით არ შეეფერება თავის დროს, ნათესი მსაჯული ამართლებს სამართალში მიცემულ დამნაშავეს და ამით უჩვენებს კანონმდებელს, რომ ეს კანონი უნდა გაუქმდეს. როდესაც კიდევ რაიმე დანაშაულისათვის სასტიკი სასჯელი ნაჩვენები კანონში, ნათესი მსაჯული ან სრულებით ამართლებს ბრალდებულს, ანა და სასჯელის შემტირე

ბას ბძანებს თავის განაჩენში და ამრიგად განმარტავს, რომ არსებული სასტიკი კანონი უნდა დარბილდეს.

მიუმატეთ ყველა იმას, რაც წინად ვთქვით ნაფიც მსაჯულთა სამართლის შესახებ, ისიც, რომ ნაფიცი მსაჯული არ ეძებს არავისაგან არც დაჯილდოვებას და არც წარჩინებას, რომ მს არაფრისა და არავის შიში არ აქვს, რადგან დროებით არის მოწოდებული მოსამართლის როლის აღსასრულებლად, რომ, ერთის სიტყვით, ის სრულებით დამოუკიდებელია ყველაფრისა და ყველასაგან, და ადვილად წარმოიდგინეთ მთელს მიწა უპირატესობას და უმჯობესობას სახელმწიფო მოსამართლესთან შედარებით.

აქ გავკვრივ უნდა შევნიშნოთ, რომ ნაფიც მსაჯულთა სამართლის ზოგ მხარეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის დღევანდელ ჩვენს მდგომარეობაში. ყოველ ხალხს თავისი კანონმდებელი ჰყავს და, რა თქმა უნდა, ყოველი კანონმდებელი, ცუდად თუ კარად, იცნობს თავის ხალხს და იცის მისი ცხოვრება, მისი შეხედულებანი და მოთხოვნილებანი. ამიტომ, ცუდად თუ ბევრად, მისგან შეთხზულ კანონებში გამოიხატება ის შეხედულება დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, რომელიც მის ხალხს აქვს და, ამრიგად, რაც უნდა ცუდი კანონმდებელი ჰყავდეს თავისუფალ ხალხს, მის კანონებსა და ცხოვრებას შორის მაინცა და მაინც არსებობს როგორიმე შეთანხმება. სულ სხვა არის ჩვენსავით დამონებულ ხალხის მდგომარეობა. დამონებულ ხალხს არა ჰყავს თავისი კანონმდებელი, — მისი კანონმდებელია იმ ხალხის კანონმდებელი, რომლისგანაც იგი პოლიტიკურადაა დამოკიდებული; მისი კანონია გაბატონებულ ხალხის კანონი. ცხადია, რომ ეს კანონი, გაბატონებულ ხალხის ცხოვრებასთან შეთანხმებული, სულ უცხო უნდა იყოს დამონებულ ხალხთათვის. და ამიტომ, თუ ნაფიცი მსაჯული თავის განაჩენით ასწორებს კანონებს და გზას უჩვენებს კანონმდებელს, მით უფრო საჭიროა ასეთი სამართალი დამონებულ ხალხისათვის.

ჩვენ ვეცადეთ გვეჩვენებინა მკითხველისათვის ნაფიც მსაჯულთა სამართლის უპირატესობა, მისი უმჯობესობა სხვა სახის განსაზღვრებასთან შედარებით აქ დაესძინო მხოლოდ რომ იქ, სადაც შემოდებულია ნაფიც მსაჯულთა სამართალი ანუ „სინი დისის სამართალი“, როგორც მას უწოდებენ, მან ყველგან გაამართლა ხალხის იმედი და სწორედ ნამდვილი სამართალი გაუჩინა ხალხს. ჩვენ ში ხშირად მოხდება, რომ სასამართლო ამარტლებს და უდანაშაულოდ აღიარებს ისეთს ბრალდებულს, რომელსაც საზოგადოება ნამდვილ დამნაშავედ და სასჯელის ღირსად სცნობს. ამგვარ შემთხვევაში ხშირად გვესმის ხოლმე მოსამართლეების შესახებ საყვედური, — თავიანთ მოვალეობას რიგაინად ვერ ასრულებენო, არა იციან რაო და სხვ. ზოგჯერ ასეთი საყვედური საფუძვლიანიც არის, მაგრამ არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც არც მოსამართლეა ღირსი ამ საყვედურისა. ეს მაშინ მოხდება ხოლმე, როდესაც ბრალდებული გაქნილი და დაოსტატებულია რაიმე ბოროტმოქმედების ჩადენაში. ასეთი დამნაშავე ისე მოხერხებულად და ოსტატურად შესრულებს ბოროტებას, რომ ვერაინ ვერ დაუმტკიცებს მის დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო მოსამართლემ, შეიძლება, ვერც დაინახოს დანაშაული, ან არა და, რომ კიდევ დაინახოს, ანუ უკეთ, მიხედვს, იძულებულია მაინც გაამართლოს, რადგან ვერ დაასაბუთებს თავის განაჩენში გამტყუნებას. სულ სხვაა ნაფიცი მსაჯული. ეს უფრო ადვილად იძებს ხოლმე ალღოს; მას ვერც ერთი დამნაშავე ვერ გამოაპარებს თავის დანაშაულს და რადგან მის სინილის მი-

მართავენ და არავითარ საბუთს არა სთხოვენ, არასოდეს არ გაამართლებს ნამდვილ ბოროტმოქმედს. ამიტომ არის, რომ ყველგან, სადაც არსებობს ნაფიც მსაჯულთა სამართალი, შეუძლებელია გაამართლონ მექრთამე, მევახშე, საზოგადოდ ისეთი დამნაშავე, რომელსაც ბოროტმოქმედება რაიმე ქვენა სურვილების დასაკმაყოფილებლად ჩაუდენია. ნაფიცი მსაჯული კარგად არჩევს სულმდაბალსა, ხალხის მზავვერებს, უსინდისოსა და საზოგადოდ ზნედაცემულ დამნაშავეს ისეთისაგან, რომელიც უბედურებაში ჩაეარდნილა და უბედურ შემთხვევათა გამო ჩაუდენია რაიმე ბოროტმოქმედება.

ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც კარგის ხასიათის ადამიანი, პატიოსანი კაცი ისეთს პირობებში ჩაეარდნილა, რომ თითქმის თავის და უნებურად ჩაუდენია ბოროტმოქმედება. ასეთს კაცზე იტყვიან ხოლმე, მაგის ადგილზე სხვაც ასე მოიქცეოდაო; ასე იტყვის ხოლმე საზოგადოება, ხოლო სახელმწიფო მოსამართლე უთუოდ დამნაშავედ იცნობს და დასჯის ნაფიცი მსაჯული კი სწორედ იმ თვლით შეხედავს და უყურებს კიდევ ასეთ შემთხვევითს დამნაშავეს, როგორც საზოგადოება, და ამართლებს მას. ნაფიცმა მსაჯულმა იცის, რომ დამნაშავეც ისეთივე ადამიანია, როგორც ყველა სხვა, და რომ უბედურ პირობებში ჩაეარდნილ კაცს არ მოეთხოვება ისეთი განსაკუთრებული ხასიათის სიმტკიცე, რომელიც რჩეულთა ხედვრს შეადგენს და ყველას არ მოუბოვება: იქ, სადაც სახელმწიფო მოსამართლე ხშირად გმირობას ითხოვს დამნაშავისაგან, ნაფიცი მსაჯული ადამიანურად ეკიდება მას და იმაზე მეტს არ ითხოვს მისგან, რაც საშუალო მომაკვდავს მოეთხოვება.

შეიძლება დაბეჯიჯებით ითქვასო, ამბობენ ინგლისის პოლიტიკურ თავისუფლების მკვლევარნი, რომ იქაური ხალხის წარმომადგენლებსა საბიუჯეტო უფლებებიდან აღმოცენდაო. ხალხის საბიუჯეტო უფლება ნიშნავს ხალხის დასტურს ყოველ ახალ გადასახადზე. ჯერ მეფე ჰკრეფდა საჭირო ფულს იმ სახით, როგორც მის სურდა, მაგრამ, რაც დრო მიდიოდა, ხალხი ნაკლებად იძლეოდა ფულს და ითხოვდა, რომ ყოველი ახალი გადასახადი მის წარმომადგენელთაგან ყოფილიყო დადგენილი. ინგლისის მეფეები ეწინააღმდეგებოდნენ ხალხის ასეთ სურვილს, მაგრამ ბოლოს უნდა დაეთმოთ ხალხისათვის, რადგან მეფეთა ჯიუტობა მეორეს მხრით აჯანყებასაც იწვევდა. ამ ბრძოლამ დაბადა ესრედ წოდებული თავისუფლების დიდი ხარტია.

ასეთია ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებისათვის საბიუჯეტო უფლების მნიშვნელობა. ცხადია რომ ეს აგრეც უნდა იყოს. მთავრობას მუდამ საჭიროა ფული და, თუ ფულის შეკრება ხალხში იმავე ხალხის ნებით უნდა მოხდეს, ცხადია, ხალხი ისარგებლებს იმ უფლებით ისე, რომ გადახდილი ფულის ფასით რაიმე შეიძინოს, და რადგან მთავრობას ხალხისავე თავისუფლება უჭირავს ხელში და სხვა არაფერი გასაყიდი საქონელი არა აქვს, ხალხიც ისევე ამ თავისუფლებას ყიდულობს თავის ფულით.

თუ საბიუჯეტო უფლება ასეთი მნიშვნელოვანია ხალხისათვის თავისუფლების მოსაპოვებლად, არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ამავე საგნისათვის სასამართლოს. როდესაც ხალხი დამონებული ჰყავს მთავრობას, ყოველგვარ კანონს ჰქმნის ეს მთავრობა. ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთის კანონმდებლისაგან შექმნილი კანონები პიროვნებისა და მთელის ხალხის თავისუფლების შემზღვეველია. მაგრამ დაწერილი კანონი ჯერ კიდევ არაფერს არ ნიშნავს; საჭიროა, რომ

ასეთი კანონი მოქმედებს, რომ მისი ძალა გარეგნადაც გამოიხატებოდა. ამისათვის სახელწიფო, მთავრობა ნიშნავს თავის მსაჯულებს და ესენი ისე ამოქმედებენ კანონს, როგორც ამას მოითხოვს მათი დამნიშვნელი მთავრობა. სახელწიფო მსაჯულები სრულებით დამოკიდებული არიან მთავრობისაგან, მისი ყმები არიან, რადგან, ერთხელაც რომ გადაუხვიონ თავის მთავრობის სურვილს, მთავრობა დაუყონებლივ გადააყენებს მათ. მართალია, უმნიშვნელო დანაშაულის დასჯაში მთავრობას მაინცა და მაინც დიდი ინტერესი არ აქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, მთავრობა დიდს ყურადღებით ეკიდება ისეთ საქმეებს, სადაც დანაშაულს შეადგენს პირდაპირ მთავრობის წინააღმდეგობა. ამ შემთხვევაში მთავრობა თავის მსაჯულისაგან ნამდვილ მონურ სამსახურს მოითხოვს.

განვმარტოთ ჩვენი აზრი. მაგალითად. ვთქვათ, ვინმე ავაზაკმა გაძარცვა ან მოკლა ვინმე მოქალაქე. სახელმწიფო ინტერესი და ხალხის მშვიდობიანობის ინტერესი მოითხოვს, რომ მკვლეელი და მძარცველი განსამართლებულ და დასჯილ იქნას. სახელმწიფო მსაჯული ასამართლებს დანაშაულს. ამ შემთხვევაში მთავრობა თავის მხრით არ არის დაინტერესებული დანაშაულის დასჯაში და ამიტომ მოსამართლის საქმეში არ ერევა და სრულს თავისუფლებას აძლევს მას ისე მოიქცეს, როგორც მისი სინიღისი უჩვენებს, — უნდა გაამართლოს, უნდა დასაჯოს ბრალდებული, ავიღოთ მეორე მაგალითი. არის კანონი, რომელიც აკრძალავს არსებულ წესწყობილების გაკიცხვას. ეს წესწყობილება იმდენად არ შეეფერება თავის დროს, რომ თითქმის ყველას, მთელს ხალხს, სურს მისი მოშლა. ხსენებულ კანონის შიშით ვერაფერ ვერ ბედავს ხმა ამოიღოს ამ წესწყობილების შესახებ. მაგრამ გამოჩნდა ჯერ ერთი, მეორე რამდენიმე კაცი, რომელთაც ვაბედეს და მოურადებლად გაკიცხეს არსებული წესი. ე. ი. გამოსთქვეს ის, რაც ყველას გუნებაში აქვს მთავრობა ამ განმებდავ მოქალაქეთ სამართალში აძლევს. ამ შემთხვევაში მთავრობა დაინტერესებულია, რომ ასეთი ურჩი მოქალაქენი დასაჯონ, რადგან მათი დაუსჯელობა სხვა უფრო მოშიშარ მოქალაქეთაც ვაბედევენებს არსებულ წესის წინააღმდეგ გამოლაშქრებას. ამიტომ მთავრობა ყოველნაირად ცდილობს, რომ ასეთი დანაშაულები გამტყუვნებულ იქნას სასამართლოში და ამისათვის ყოველ ღონეს ღონეს ღონობს. სახელმწიფო მოსამართლეს, მთავრობის ურ-მოპირილი მონა, ისე ასამართლებს როგორც მთავრობას უნდა. ხშირად მოსამართლე თითონაც გრძობს და კიდევ თანაუგრძობს გულში ანაირ დანაშაულს, მაგრამ რა ქნას, ის არის მონა—მოხელე და არა თავისუფალი მოქალაქე, მთელი მისი ბედი მის სამსახურზეა დამოკიდებული და სამსახური კიდევ—მთავრობის სურვილზე და ამიტომ ისე უნდა გააჩიოს საქმე და გადაწყვიტოს, როგორც ბატონ მთავრობას ნებავს, სამართალი იმას უნდა უქმოდოს, რასაც მთავრობა ემსახის სამართალს.

რაც უფრო დამორბებულია მთავრობისა და ხალხის წარმოდგენა ერთმანეთს, რაც უფრო ნაკლებად შეეფერება მთავრობა თავის დროს და ხალხის სურვილს, მით უფრო საჭიროა მისთვის სასამართლოს დასტური, მით უფრო საჭიროა, მაშასადამე, მისთვის სასამართლო მას ეკუთვნოდეს.

ახლა წარმოიდგინე. მკითხველო, რომ სამართალი, ანუ უკეთ, განსამართლება ხალხის ხელშია, და ადვილად დაინახავ, რა მნიშვნელობა აქვს მას ხალხისათვის თავისუფლების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. ზემოაღნიშნული მაგალითი უსახელო და განუყენებელია, ხოლო დღევანდელი ცხო-

ვრება ათასობით გადალევს იმისთანა მაგალითს, რომელიც ნათლად დაგვანახებს ნაფიც მსაჯულთა სამართლის პოლიტიკურ მნიშვნელობას. როგორც ყველამ იცის, იმ საქმეებს, სადაც სამართალში მიცემულს ბრალდება მთავრობის არსებულ წესწყობილების გაკიცხვა და წინააღმდეგობა, პოლიტიკური საქმეება ეწოდება. ასეთი საქმეები ბლომად გაიჩნა რუსეთის სასამართლოებში ბოლოდროს. მაგრამ ჩვენ მივუთითებთ მკითხველს მხოლოდ ერთ ორზე. ავიღოთ, თუ გნებავთ, ლეიტენანტ შმიდტის საქმეან კიდევ სპირიდონოვის ქალის საქმე მთელი საზოგადოებათანაუგრძობდა მათ და თუ კანონს აზრად ის აქვს, რომ საზოგადოება დაიფაროს მანვე პირთაგან და საზოგადოების აღდგომული გრძობა დააშოშმინოს, არც ერთი და არც მეორე დასასჯელი არ იყვნენ. ამას არ მოითხოვდა საზოგადოების ინტერესი, ამიტომ, მოსამართლეებად რომ ნაფიცი მსაჯულები ყოფილიყვნენ, მათ, რა თქმა უნდა, გაამართლებდნენ. სპირიდონოვის ქალმა, როგორც იცის მკითხველმა, მოკლა ხალხის „დამამშვიდებელი“ მთავრობის კაცი ლუქენოვსკი. ამრიგად, მართალია, ამ ქალმა ვითომ ბოროტმოქმედება ჩაიდინა, მაგრამ საზოგადოებამ ღირსეულად დააფასა მისი გმირული ბოროტოქმედება, და მისი გამართლებით ნაფიცი მსაჯული უჩვენებდა მთავრობას, რომ ლუქენოვსკისთანა „დამამშვიდებელი“ უპირველესი ავაზაკია, რომ მისთანა კაცის მოკვლა არავის ცუდვად არ ჩათვლება, ხოლო სპირიდონოვის ქალისთანა არსება მხსნელი და მფარველი ანგელოზია საზოგადოებისა ხალხის თავისუფლებისათვის.

გაიხსენეთ კიდევ ქურნალ-ვახეთების რედაქტორების საქმეები. ისინი ვინც საუკეთესო კაცებად არიან მიჩნეული საზოგადოებაში, ვინც საუკეთესოდ გამოხატავდნენ ხალხის გაპირვებას და სურვილს, მთავრობამ ყველა სამართალში მისცა და სახელმწიფო მოსამართლენი ყველას დანაშაულებს ცნობენ

აი ამგვარ პოლიტიკურ საქმეებში გამოიხატება უღრმესი მნიშვნელობა ნაფიც მსაჯულთა სამართლისა. რუსეთში რომ ნაფიც მსაჯულთა სამართალი ყოფილიყო, — გარდა იმისა, რომ ყველა ესრედ წორებული პოლიტიკური დანაშაულები მართლებული იქმნებოდა, — მთავრობა და მისი მოხელენი, რომელნიც ისე ებრძვიან ხალხის საუკეთესო მისწრაფებას, ვერ ვაბედავდნენ იმას, რასაც ეხლა ბედავენ. ვერ ვაბედავდნენ ამიტომ, რომ ნაფიცი მსაჯული თავის განაჩენებით დააკანონებდა ამგვარ მთავრობის საწინააღმდეგო ყოველნაირ მოქმედებას და, პირიქით, დაუსჯელს არ გაუშვებდა ყველა იმთ, ვინც ხალხის სურვილის წინააღმდეგ მართავენ სახელმწიფოს, — ლეჟანოვსკებს, ორლოვებს, რენენკაფ-ლუბასოვებს, აბრამოვებს და სხვათ.

მთავრობაც გრძობს და კარგად აქვს შეგნებული ნაფიცი მსაჯულთა სამართლის ამგვარი მნიშვნელობა და ამიტომ, რომ ისე ეწინააღმდეგება მის შექოლებას, და სადაც შემოიღო, ჩამოაცალა პოლიტიკური საქმეები.

ფულით ბევრი რამ იყიდება, თავისუფლობაც კი, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ამავე თავისუფლების მოპოვებისათვის ნაფიც მსაჯულთა სამართლისაც. და ამიტომ, თუ საბიუჯეტო უფლება ამ თავისუფლების მოსაპოვებელი იარაღია, არა უარესი იარაღია ამავე საგნისათვის ნაფიც მსაჯულთა სამართალიც.

მსოფლიო და ხმელეთი

ახალი დრამა

(ჰაუტმანის ახალ პიესის გამო)

ახლანდელი ჩვენი სულის მდგომარეობა მეტად აღელვებულია. ჩვენ ისეთ ტრაგედიულ ხანას განვიცდით ცხოვრებაში, რომ სცენაზე წარმოდგენილი ტრაგედიები თავის შინაარსით დაახლოვებითაც ვერ შეედრება მას. აუტანელ ცხოვრების გამო არცა ვართ ისეთ გუნებაზე, რომ ხელოვნებით დატკობა შეგვეძლოს თავისუფლად და ჩვეულებრივად.

მაგრამ ნიქის ძალა დიდი რამ არის. ნიქი და გენიოსობა ისეთი რაღაც დიდებულია, რომ ყოველ ჩვეულებრივ მოვლენას უჩვეულო სახეს მისცემს და გარდაქმნის თავისებურად. ის, რაც არ შეუძლია უბრალო მომაკვდავს, უბრალო კაცს თავის ნიქითა და მოხერხებით, შეუძლია ზე-კაცს, დიდის ნიქითა და აზრით შემოსილს, დიდის ოცნების მქონეს..

ერთი ამგვარი დიად ნიქის პატრონია გერჰარდ ჰაუტმანი, გერმანელი დრამატული მწერალი, რომელსაც მთელ ევროპაში სახელი აქვს განთქმული და რომლის „ჰანსელი“ და „ჩაძირული ხარი“ ყოველმა ჩვენგანმა უთუოდ იცის.

ჰაუტმანი, ბელგიელ დრამატულ მწერალ მეტრონიკთან ერთად, ახალ დრამის წარმომადგენელია, — ახალ დრამის მეთაური. ამ ორ მწერლის ნიქმა ახალ დრამას ისეთი გზა გაუკაფა, ისეთი ადილი დააქერია მსოფლიო სცენაზე და ისე ძლიერადად გამოიყვანა კაცობრიობის წინაშე, რომ დღეს ძველი დრამები ვედარავის ვერ აკმაყოფილებენ, რაც უნდა ხელოვნებითა და ნიქით იქმნენ დაწერილი. ახალმა დრამამ შეასრულა დრამატული სცენაზე ის, რაც ვაგნერის ოპერებმა მუსიკაში მოახდინეს. მან შეაერთა და შეადულა ერთად მუსიკა და დრამატული პოეზია, დრამატული ხელოვნება და მხატვრობა. ახლანდელი დრამა აღსავსეა მუსიკით არა მარტო იმიტომ, რომ მართლაც დრამატული სცენებს მუსიკა თან ახლავს და დრამატული მონოლოგები მუსიკის აკომპანიმენტებით არის ხოლმე ასრულებული, არამედ იმიტომაც, რომ თვით მონოლოგები, სიტყვები, სახელები აღსავსეა მუსიკითა და რითმით. ახლანდელი დრამა მდიდარია მხატვრულას ხელოვნებით არა მარტო იმიტომ, რომ დეკორაციები და მოქმედების ადგილები მართლაც მხატვრობითი ნაწარმოებია, არამედ იმიტომაც, რომ თვით მოძრაობა სცენაზე, მოქმედი პირნი, მათი ჩაცმულობა — ყოველივე მხატვრობით არის აღბეჭდილი. თანაც ახალი დრამა ცდილობს და ახერხებს კიდევაც საოცარის ხელოვნებით (ჰაუტმანისა და მეტრონიკის დრამები) თვით ცხოვრების უღრმეს შინაარსის გამოხატვას, ცხოვრების დედა აზრის, მთავარ საგნის დასურათებას.

აქაც დრამა ცხოვრების ბრძოლის გამომხატველია, მაგრამ იგი ხატავს ამ ცხოვრების ბრძოლის არა ზედა-პირს, არამედ თვით საძირკველსა და საფუძველს. იგი გვაჩვენებს ადამიანს, მის სურვილებს, აზრებს, მისწრაფებას და მოქმედებას, რომელიც დაპირდაპირებულია ცხოვრებისა და ბუნების უსილაგ, მძლავრ და სასტიკ ძალებთან, რომელთა ფატალური საშინელება ადამიანს ცხოვრებას სვედის სუდარით ჰფარავს. ამ ძალებთან ბრძოლა ადამიანისა ყოველთვის თავდება ისე, როგორც ცხოვრებაში, ე. ი. ფატალური ძალა, განგება, გინდ ბედი, უხილავი, გამოუცნობელი და გამოურკვეველი, იმარჯვებს ბედკრულ ადამიანზე და მას თავისი ძალა, რაგინდ დიდი იყოს

იგი, ვერა შველის. მაგრამ თანაც აქ ვხედავთ ტრაგედიულ სიმშენიერეს ადამიანის ბრძოლისას, მისი სულის ძაღლისას. ვხედავთ მის სულის კვეთებების მომხიბვლელობას, ვგრძნობთ მის ოცნებათა, აზრთა და ფიქრთა წარმტაც ძალას. დაე, დაეცეს იგი ამ ბრძოლაში, იგი მაინც მხოლოდ მაშინ არის ყურადღების ღირსი, როცა იბრძვის, როცა არ მორჩილება არავითარ ძალას და კანონს, ვარეშე თავის პირადობისა, ვარეშე თავის არსებისა; მხოლოდ მაშინ არის იგი ღირსი ქვემარით ადამიანობის სახელისა, როცა თავის ინდივიდუალურ ძალ-ღონის მოკრებას ცდილობს და ამ ძალის შემწეობით უნდა დაიმორჩილოს საიდუმლო სასტიკი ბუნება.

ამგვარ ნაწარმოებს ეკუთვნის ჰაუტმანის ახალი დრამა „პიპა კი ცეკვობს“, რომელიც ამ რამდენისამე დღის წინად წარმოადგინა ქ-ნ ივორსკის დასმა არტისტიულ თეატრში. პირველ მოქმედების სცენა წარმოადგენს ყავახანას. ერთ მაგიდასთან ზის შუშის ქარხნის დირექტორი და სევამ; მეორე მაგიდასთან სხედან ქარხნის მუშები და ბანქოს თამაშობენ. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის ბებერი ჰუნი, რაღაც უცნაური არსება რომელიც ბუხართან ჯდღეა, ცეცხლს აღვივებს და თვალ ყურს ადევნებს მოთამაშეებს და უფრო კი — მშენიერ პიპას; შემოდის აგრეთვე მოგზაური მიხელი, ყოფილი მეშა. ბანქოს მოთამაშეებში პირველი ადგილი პიპას მამას უქირავეს, რომელიც თაღლითობს და ჰყვლევს ამხანაგებს. დირექტორი პიპას ეარზიყება და მის მამას სასყიდელს აძლევს, ოღონდ პიპა მიჩვენეო. ნამძინარევი პიპა გამოჰყავთ და აცეკვებენ. ცეკვის დროს ბებერი ჰუნი დასდევს, მაგრამ ვერ დაიჭერს. დირექტორიც ცდილობს, რომ ნაყიდი საქანელი ხელში ჩაიგდოს, მაგრამ პიპა სულ მცირედ აღერსის მეტის ნებას არ აძლევს. პიპას გული და გრძნობა მიხელისაკენ არის მიპყრობილი. მიხელი, რომელიც ტრუბადურსა ჰგავს, იპყრობს მთელ მის ყურადღებას. დირექტორს თან და თან უსხლტება ხელიდან, ბებერი ჰუნი კი თან და თან უფრო უახლოვდება პიპას. დირექტორი სასაცილოდ იგდებს მიხელს და მოშაირობას სწამებს.

ყავახანაში აყალ-მაყალი იწყება. პიპას მამას თაღლითობას შეამჩნევენ და გამოეკიდებიან დანებით. აყალ-მაყალზე ყველა გარედ გარბის, — რჩება მძინარე პიპა და ბებერი ჰუნი, რომელიც პიპას მოიტაცებს და სადღაც გააქროლებს.

აი ჩვეულებრივი ზედა პირი ცხოვრებისა. გარკვენილება და გათახსირება ღარიბისა და მდიდრისა, ვაქრობა სინილისით, სხეულით, ადამიანობით. რაიმე იდეალური ნასახი ამ საზოგადოებაში მარტო დაცინვასა და ზიზღს იწვევს. მისული ტრუბადური და პოეტი მიხელი მწარეირონიას იწვევს ბ-ნ დირექტორის მხრით, რომლის რწმენა ის არის, რომ ფულით ყველაფრის შეძენა შეუძლია კაცსო. პიპას მამა იმ რწმენისა არის, რომ ფულისათვის კაცი, შეიძლება, ყველაფერს შეელოოს, — მშვენიერ ქალიშვილს და სინილისაც. ასეთაა ეს ცხოვრება იმათთვის, ვინც ცხოვრებას მარტო ზედა-პირს ხედავს სულ სხვაა იგი შორს მხედველ მგონისთვის, — ცხოვრების ზედა-პირი მისთვის მარტო წარმავალი უმნიშვნელო რამ არის. მაგრამ, რაც უნდა უმნიშვნელო, ჩვეულებრივი იყოს ეს ზედა-პირი, იმას დრამა ფესვები აქვს, მისი სარჩული უცნაური ქსოვილია, რომლის გამოცნობა კი არა, შემჩნევაც ძნელია უბრალო ადამიანისთვის.

პირველ მოქმედებაში ნაჩვენებ ზედა-პირის სარჩული გადაგვეშლება მეორე, მესამე და მეოთხე მოქმედებაში.

მეორე მოქმედების სცენა ულრანი ტყეა, კლდეებითა და ღრე-

ებით აღსავსე. აქ ყოფილა ბებერი ჰუნის სამფლობელო, აქ მოჰყავს მას პიპა, ბუხართან დააწვენს და ბალაოთ დაჰვა რავს. ტყე სავსეა სხვა და სხვა ცხოველებით, რომელნიც ათას წაირ სიმღერებს იმღერიან. სიცოცხლის სიმშვენიერით — პიპათი გატაცებული პოეტი მიხელი თან მოსდევს მის განხორციელებულ იდეალს — პიპას — და ჰუნის სამფლობელოშიც კი მიაგნებს. ასეთია ძალა მაღალის გრძობისა, — მისთვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, იგი ძლიერია, ვით სიკვდილი, მას ვერ დაიქერს „გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“. პოეტის — მიხელის — ფანტაზია მიღალ შეპყრობილია პიპას არსებით. პოეტი დაუკრავს სალამურხეიმ ხმას, რომელზედაც პიპა ცეკვობდა. ნაცნობ მუსიკის ხმაზე პიპა გამოიღვიძებს და დაიწყებს ცეკვას. პოეტი განცვიფრებულია, რომ მისი ოცნება განხორციელდა. ასეთია ძალა დიდის გრძობისა, — იგი თვით ოცნებასაც კი ცხადსა ჰყოფს. პოეტი, — ცხოვრების იდეალური ოცნების წარმომადგენელი, მიხელი და ცხოვრების ჰარმონია, მშვენიება, ცხოვრების პლასტიური სიმშვენიერე — პიპა — ერთმანეთს დაუახლოვდებან, ერთმანეთს ბავთი შეეხებიან და ნეტარებას იგემებენ. მათი გული ძვერს, მათი არსება აღტაცებულია რაღაც უჩვეულო არა ამქვეყნიურის გრძობით; პოეტი თან და თან რწმუნდება თავის ოცნების სიძლიერეში, მის ცხოველყოფელ ძალაში. ისა და პიპა მარტო არიან, მაგრამ უძლეველნი არიან, — პიპას აქ არაფრის არ უნდა ეშინოდეს. აი, პოეტი აჩვენებს მას თავის იარაღებს, — უბრალო „პრაქტიკულ“ ნივთებს: კბილის სხეხეს, ფრჩხილების ჯღრბს, დასაძინებელ წამალს. ეს სხვისთვის არის უბრალო რამ, პოეტისათვის კი იგი უხილავის ძალით არის აღსავსე, — ამის შემქნებელი იგი ყველაფერს გაუქმლავდება, თვით ქაჯსა და ეშმაკს. განა ბებერი ჰუნი შეაშინებს მას? პიპას კი არა ეს მის რა. მას მხოლოდ აღერსი უნდა, იგი — გრძობის დედოფალია და, ვითარცა ასეთი, იგი გულზე ეკვრება პოეტს. პოეტიც პიპას შეხებით ახალ ძალას გრძობს თავს არსებაში, იგი იწვევს პიპას მზისკენ, განთიადისკენ, სინათლისკენ და მიჰყავს კიდევ. ამგვარად შეკავშირდა ცხოვრების ოცნება, ცხოვრების ფანტაზია — პოეზია — და ცხოვრების ძალა, სიცოცხლის წყარო, სიყვარულის საგანი, ცხოვრების ცქრიალა მშვენიერი არსება, მოხდენილი და გრაციით აღსავსე, მაცეკვარი პიპა.

მესამე მოქმედებაში მშრალის გონების სამფლობელოში ვართ. განდევნილის ოთახია. მაგიდაზე მრავლად სამეცნიერო წიგნები აწყვეია. თვით მოხუცი განდევნილი მშვენიერი სპეტაკ სამოსელშია გახვეული. მის გამოკვებულში მხოლოდ ბაწრით შეიძლება ასვლა, რადგან ეს გამოკვებადილი მაღალ კლდეშია. იგი ცხოვრებას ზვიდან დაჰყურებს, ცხოვრებას იცნობს, ცხოვრების ძალებს სწავლობს და მარტო ერთი გზა უპოვნია ცხოვრების ბნელეთის და უკუნეთის გასანათებლად, — განყენებული გონება და განყენებული შრომა მეცნიერების ნიადაგზე, მაგრამ არა მშრალ, უარყოფელ მეცნიერების, არამედ პანთეისტურ, ყოვლის შემგნებელ ცოდნის ნიადაგზე. ამ განდევნილის ცოდნას ფესვები ცხოვრებაში აქვს, მაგრამ ამასთანავე მისი თვალები ღვთაებისაკენ არის მიპყრობილი, გ. მოუცნობელ ძალისაკენ, რომელიც ამოძრავებს მთელს სიცოცხლეს. ხალხმა იცის, რომ იქ, სადაც მაღლა, სდგას საბრაკო არსება, რაღაც ჯადოქარი, უცნაური ადამიანი და გაკრავების დროს მსთან მიბრბან.

მასთან მოდის ქარხნის დირექტორიც. რომელსაც დაე-

კარგა პიპა. პიპა მისთვის მარტო ხორციელ სიამოვნების საკანია, ისეთივე მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი, როგორცაა სიგარა, გინდ კონიაკი. მისი აზრი და გრძობა, მისი პრაქტიკული გონება შეაურსა და ალაპზე მორს არ მიდის. იგიც საშველად მოდის განდევნილთან. განდევნილი გამკრიახი კაცია, გულთმცხანი, თავის ცოდნის წყალობით, და კარგად ხელდას საქმის ვითარებას. „განიკურნე შენის ბიწვიერებისაგან და მაშინ შეგიძლია მორჩეო“, ეუბნება ის.

აქვე ამ დროს შემოდის პიპა. მისი თანაშეზავრი გაყინულია და განდევნილს შევლასა სთხოვს. განდევნილი დირექტორსაც მიიშველიებს, გაყინულ მიხელს შემოიტანენ და გრძობაზე მოიყვანენ სხვა და სხვა საშუალებით. დირექტორი ხელდას, რომ პიპას გული სხვას ეკუთვნის, ცდილობს მისი გული მოიგოს, მაგრამ ამაოდ: პიპა ახალ ცხოვრებაშია, მისთვის „ზედაპირი“ უმნიშვნელო და უბრალო მოვლენაა ცხოვრებისა. იგი ახლა ცხოვრების ღრმა მორევში სკურავს, ცხოვრების უხილავ ძალთა სამეფოშია, იგი მონაა გრძობისა, სიყვარულისა და ოცნებისა. რაღა ახსოვს მას ვიღაც გარყვნილი დირექტორი, რომელიც ფულით ყიდულობდა პიპას ცეკვას მამისაგან გარყვნილების ბუდე — ყავახანაში! მისთვის ახლა მარტო მიხელი არსებობს, მარტო მისი სალამური, მარტო მისი ტუბილი ხმა

მიხელი გაცოცხლებულია. ახლა მას მარტო პიპას აღერსი სწყურია, უნდა კიდევ მეტად განიხორციელოს ოცნება, უნდა სიცოცხლის წყურვილი მოიკლას. გამოცდილი და განსწავლული მეცნიერი, რომელმაც სავსებით იცის სიტკბოების მწარე ძირი, წინააღმდეგება მიხელის სურვილს და მოაშორებს პიპას, — მას ცალკე გაგზავნის მოსასვენებლად, ხოლო პიპას, უკვე დაღალულს და დაძინებულს, ცალკე ოთახში შეიტანს.

ჰუნიც გაქირვებულია, იგიც პიპას დაედებს. დიდი ხნის ცდის შემდეგ მოტაცებული მშვენიერი ტიკინა, როგორც ის პიპას ეძახის, მას წაართვის. მაგრამ იგი არავის შესახვეწად არ მოდის, მას ძალა აქვს და გრძობს ამ ძალას: იგი მამაცია და შეუდრეკელი, ვით ის სამეფო, სადაც იგი ბატონობს. მისი დევიზია: ძალით ყველაფრის მოპოება შეიძლებაო, და აკი მოიტაცა პიპა. ახლაც უნდა არავის დაანებოს, უოვალთვალგებს განდევნილს, სად დამალავს პიპასო, და მიდის მის მოსატაცებლად. მაგრამ განდევნილიც ძლიერი არსებაა, იგი კაცის გონების სიმბოლოა, კაცის მაღალ აზროვნების გამოხატველია. შეეტაკება ბებერ ჰუნს და დასცემს, დასჭრის კიდევ და საშინელ ტანჯვას მიაყენებს. ბებერი ჰუნი პირუტყვილი ძალაა, იგი ბუნების ბნელი ძალაა, თავის შეურყეველ და შეუდრეკელ მოთხოვნილებით, თავის საოცარ სისასტიკით, უსაზღვრო ვნებით. ეს არის რაღაც უხილავი ძალა, რომელიც იზიდავს თავისკენ ცხოვრების მშვენიებას; იგიც სიკვდილსავით, სიყვარულსავით ძლიერია, გონებასა და ოცნებასავით მომხიბვლელია. ამიტომაც გონიერება აფრთხილებს პიპას და მიხელს, — ცხოვრების ამ უმანკო ნაყოფთ, — ერიდეთ მაგას, თუმც დაქრიალია, მაგრამ საშიშიაო. იგი ურჩევს მიხელსა და პიპას, — წადით, გადით გარედ და აუწყეთ ქვეყნიერებას, რომ მოდის „ის“, — ნათელის მაუწყებელი, ქვეშაირების მოციქული, რომელსაც ელის კაცობრიობა დღიდან თავის გაჩენისა, „ის“, — რომელსაც ყოველი ხალხი თავისებურ მესისად სახავს, მოდის ის განხორციელებული იდეალი, ის სამეფო, სადაც იქმნება მარტო გონება ფილოსოფიასა და სარწმუნეებასთან შეერთებული, დაკავშირებული ოცნება-პოეზიასთან, დაკავშირებული ჰარმონიასა და მშვენიებასთან, სადაც ბნელ ძალებს აღარ ექმნებათ ადგილი და მათგან გამოწვეული სეე-

და და ოხვრა მოისპობაო. მაგრამ პიპა და მიხელი ბუნების ძალით მოხიბლული არიან, იგინი ვერ გამოკვეთულან იმ მშვენიერის შეხებიდან, რომელმაც იგინი გარდაჰქმნა, ცხოვრება ოცნებას დაუკავშირა და ოცნება განახორციელა. მაშინ თვით განდევნილი გადის ქვეყნისათვის საქადაგებლად და კიდევ არიან ბუნების გამოუცდელ მსხვერპლთ, — არ ავაცუკვოთ, არ ვათამაშოთ მაგ ბებერმა ჰუნმაო. მაგრამ, მეცნიერება, სარწმუნოება, ადამიანის გონებაც უბადრუკია ბუნების ძალების წინაშე: ბებერი ჰუნი საოცარის სინაზით ხიბლავს და პიპას აცუკვებს, პოეტს კი სალამურს დააკვრევინებ.

ამგვარად, ჰუნი გამარჯვებულია. ერთხელ კიდევ ბუნება დაკმაყოფილებულია, პოეზია მიწაზე განართხულია, მშვენიერებას თავისი ჰაეროვნება დაეკარგა და მარტო უსულო გვამი და დარჩა. პიპა უსულოდ დაეცემა, ბებერი ჰუნი მოისვენებს. იგი ბედნიერი და კმაყოფილია. გონება ისევ მწარედ იტანს თავის დამარცხებას, პოეზია თავის მშვენიერებას ჰკარგავს, თავის ღვთაებრივობას ეთხოვება, თითქმის ბრმადედა და განაგრძობს სალამურის დაკვრას. განდევნილი, ბედის მორჩილი, მიხელს ურჩევს, — წადი, დაეკარი იმ ურუთათვის, რომელთაც არ ესმით ღვთაებრივი სიმღერა ბუნების წყაროებისაო; წადი უკადაგე იმ ბრმათ, რომელთაც ვერა დაუნახავთ რა, გარდა ცხოვრების ზედაპირისაო. კი, მაგრამ როგორ, პიპა სად არის: „პიპა ხომ ცუკვობსო“, და ამ სიტყვებით მოხიბლული პოეტი გზას გაუდგება...

და ასე, ბუნებამ თავისი წაიღო, ბნელმა ძალამ თავისი გაიტანა, გაიმარჯვა. პიპა აათამაშა, ბუნებრივი გრძნობები აღუძრა და ამ გრძნობის დაკმაყოფილება პოეზიის მიანდო. მშვენიერება, ჰარმონია — პიპა — ვერ გაექცა ბნელ ძალას. რაღაც მიზიდავს მისკენ, მეშინია, მაგრამ რაღაც მიზიდავს მისკენო, — გაიძახოდა პიპა, როცა ცუკვა დააპირა. ოცნებამ, პოეზიამაც ვერ აუხვია გვერდი ამ ძალას, თვითონ დასტება, თვითაც იგემა მშვენიერება, რომელიც არის დამალული იმ ძალაში, რომელიც გონებას მიიჩნია ბნელ ძალად და ნამდვილად კი ცხოვრების ჩარხი და ენერჯიაა. გონიერებამაც, მეცნიერებამაც ვერა მოუხერხა რა ბნელ ძალას და თვით დარჩა დამარცხებული, თუმცა არა გულ გატეხილი. იგი განაგრძობს ქადაგებას და ბრძოლას, ურჩევს პოეტს იქადაგოს, გაამზადოს მიმავალი ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ორივე დამარცხებული არიან: „პიპა ხომ მანც ცუკვობს!“. გონიერმა განდევნილმა კარგად იცის, რომ ბედსა და განგებას უნდა დამემორჩილოს ადამიანი: „ხომ უნდა დაიანებო პიპა, როცა იქნება, ბედსა და დამარცხებულს“, ეუბნებოდა იგი მიხელს მამ მას ვერაფერი შეიყვანს სასოწარკვეთილებაში, იგი თავის საქმეს განაგრძობს, იგი გამოიკვლევს ბუნების ძალებს; მან იცის, როგორ შეაუსტოს ბნელი ძალები და იმედს არა ჰკარგავს, — იმ დი აქუს, რომ მოვა სამეფო იდეალისა, მოვა სამეფო „იმისი“, რომელიც ნათელს მოგვევენს და დააკავშირებს საუკუნო კავშირით ერთმანეთთან ცხოვრების სრულდღეს და მშვენიერებას, — ჰარმონია — მოსოკას (პიპა), ოცნება — პოეზიას (მიხელ) და გონება — აზროვნებას (განდევნილი). და შეერთებული სამება — სინამდვილის მშვენიერება, ოცნება და გონება, განწავლული, მეცნიერებით აღჭურვილი და უმაღლესის სარწმუნოებით გაცის კრავებული — ერთად სძლევენ ცხოვრების ბნელ ძალებს და მაშინ დამკვიდრდება ქვეყნად ბედნიერება...

ასეთია ჰაუპტმანის ახალი პიესა, რამდენადაც შესაძლებელია ასეთი ღრმა პიესის გადმოცემა ერთის ნახვით. ეკვი არ არის, მრავალი სხვა ახსნაც შეიძლება ამ პიესისა, მაგრამ სი-

მშვენიერე და სიღრმე მისი, როგორც თვით ცხოვრებისა, იმაშია, რომ მრავალ მხრივ შეიძლება მისი გაგება და შესწავლა. იგი არის რთული, მშვენიერი და საიდუმლოებით მოცული, როგორც თვით ცხოვრება... პ.

თომა მოციქული

უარპყო თომამ მკვდრებით აღდგომა, ველარ მოვგო მოწაფე ცნობას და როგორც სხვებმა, მოციქულებმა, ვერ დაუმონა გონება გრძნობას:

„არ მწამს, რაც ყურით არა მსმენია და არც უნახავს ამ ჩემს ორ თვალს! მაშინ ვიწამებ ქრისტეს აღდგომას, რომ ხელს შევახებ მე მისს სამსჯელოს!“

ეს რომ წარმოსთქვა, ასტყდა მიწის ძვრა, თან დაკეტილიც გაიღო კარი და შიშით დამფრთხალ მოციქულების წინაშე წარსდგა თვით მაცხოვარი.

„ურწმუნო თომავ! — სთქვა გულ-დაწყვეტით ნუ თუ უარპყოფ შენც ძალთა-ძალსა? ხომ მხედვე ჯვარცმულს? მოიტა ხელი! აბა, შეახე ამ ჩემ სამსჯელოს!“

ზარდაცემული, შეძრწუნებული, ბრძანებისა მებრ მივიდა თომა, შეახო ხელი და მხოლოდ მაშინ იწამა მკვდრებით ქრისტეს აღდგომა.

არიან ჩვენშიც თომასთანები, რომ არ სწამთ ქვეყნის მათ მომავალი; დღევანდელ ჯვარცმით გულ-გატეხილებს საშორამკვრელდლოთ არ უჭირის თვალი.

მაგრამ როდესაც თვით მომავალი მათ წარუდგება, ვით ქრისტე თომას, დაიჯერებენ რჩეულთან ერთად და დაიტკობდნ მწარე გულის თქმას.

მანამდე კი ჩვენ ვიტყვიოთ და ვამბობთ, თუმცა დაჯერება ჯერ კი ძნელია, რომ აღსდგა ქრისტე! — ის, ვინც სიკვდილით სიკვდილისავე დამთურგნელია!

აჭაგა

ცეცხლითა და მახვილითა

ის, რაც აქამად ხდება ქართლსა და დასავლეთ საქართველოში, ზირველი შეხედვით, ქართველმა მკითხველმა თითქმის იცის, თითქმის ეველავფერი შეიტყო დაწვრთვებით და მისი გულის აღშოთება დატყდა, დაშეშდა, ჩვეულებრივად მიიძინა. ცახუტებში იბეჭდებოდა და იბეჭდება კარუსონდენციაება სხვა და სხვა ადგილებიდან, სხვა და სხვა ცნობებს კადმოკვეტენ სხვა და სხვა მოკვარეობი, ვკითხულობთ მთავარბის „თეხილი“-ს და მით ვკითხულობთ, შეუძლებია სრულიად დაკმაყოფილებით.

ესეც ვიპოვე, — გაზიარების კორესპონდენციები ხშირად ისეა დაწერილი, რომ შიშველი შესთქვამს შიშველს ან სხვანაირად მათში მარტოა და მშრალად აღნუსხული ფაქტები სავსებით არ უშლის თვალს წინ წამოთხველს ამ სახის სტატიებს, რომელსაც განიცდის ჩვენი ხალხი. ჩვენს კორესპონდენციებში იბეჭდებოდა და იბეჭდება მრავალი ფაქტი: ამდენი და ამდენი სხელი გადასწვს, ამდენი მძვინვარებს, ამდენი აწამებს, ამდენი ქალი გააუბრაურებს. და სხვა. ამგვარი ფაქტები ხანგრძლივ კვლავ არ სტოვებს შიშველის გონებაში. ის შემდეგში უკრავდებოდა ან აქვე, თითქმის ყველაფერი, როგორც შექცევა, მაგალითად, ამ ხონგა-ფლუტს, რომელიც ხელბეჭდის მანქანაშია რუსეთი ანაბნისის ომის დროს: მოხდა ბრძოლა, დაიხოცა ოცი ათასი კაცი, რუსის ჯარმა უკან დაიხია, ანაბნისელებმა დაიჭირეს ის და ეს ქალაქი. ამგვარ ცნობებს ისე შექცევია ხალხი, რომ ბოლოს უკრავდებოდა აქვე მხოლოდ მოკლეულთა რაოდენობას, ანგარიშობდა ათასობით, — მას არ შეეძლო, შორიდან ნათლად წარმოედგინა სახარული სურათი ომისა. როცა ჩვენ გაზიარებთ ამოვიტოვებთ: მას და ამ ომის დროს სამხრეთი: თასი ჯარის კაცი დაიხოცა, უფრო ნაკლებად აღუშვითლებით და ავლელდებით, ვიდრე აღუშვითლებით მამან, რამ ჩვენის თვალთ გვეჩხა, თუ როგორ კვდება ბრძოლის ველზე უკვლავსაგან მიტოვებული ერთი დაკრული ჯარის კაცი. ასეთია ანაბნისის მისიხლოვა.

ასეა ამ შემთხვევაშიც. ჩვენ ვუცქერთ გულგრილად გაზიარების ცნობებს და ვაგარიშობთ გადაწყვეტილებების, მოკლეულთა, დაკრულთა და ნამუს: ხელი ქალთა მხოლოდ რაოდენობას. მაგრამ მარტო რაოდენობას აღნუსხვა, მსხვერპლთა რიცხვის ცოდნა არ გვარა იმ სახისებების წარმოსადგენად და სავარაუდოდ, რომელსაც განიცდის დღეს ქართველი ხალხი სითვლად. აღმაინა უნდა ფხი თი დაროს სითვლები, სადაც ჯარმა გაიარა, თვლით ხახის გადამწარი ადგილები, შეხედოს გაუბრალებულ ქალების დასრულებულ სახეებს, ხახის აღმაინა, რომელმაც განიცადა თავზე სადღათისა ან კახკის მხეცური ძაღა, იგრძინოს, რასაც გრძობს გათახინებული, თავზრდაცმული, დღე და დამ შიში შიფი ხალხი, და შიშის, მხოლოდ მამან გაიკვებს, რა უბედურება დაატყდა ჩვენს ხალხს თავზე და მხოლოდ მამან იგრძინოს ტყვილებს და თავის მოკვლავს.

ამას ჩვენ არ ნავდივართ. რატომ? ჩვეულებრივად, ჩვენებურად, ქართველურად ამჟამად და შემდეგშიც როგორც სახლვარჯიშობდა, ისე რუსეთიდან ჩამოდიან და ჩამოვლენ კიდევაც კორესპონდენტები, დავილიან დაზარალებულ სითვლებს, კადილებს ფორტოვრათულ სურათებს გადაწყვეტენ და განადგურებულ ადგილებისს, დაწვრილებით შეიტოვებენ ჯარის საზიხარას და მხეცურ მოქმედებას, ანგარიშებენ დამწვარ შენობების და გაძარცვულ სქონლის ზარდას და უკვლავ მას, დასაბუთებულს და ხელთნურად შემკობის, მავწვლიან თავიანი შიშველებს. ჩვენ კი ვართ გაჩუმებული და ვვლით, როდის დაიბეჭდება სახლვარჯიშობის საქართველოს აკვების სურათები!

ჩვენ გვიჩხავს, თუმცა ტყვიად არა, რადგან ქართლისა და დასავლეთ საქართველოს ამბები უსამართლო სიხშირეად გვევლინება. იქ კი უკვლავ ამას ცხადად ხედავენ და არც დღე, არც დამ დილი არა აქვს. დღეს რომ მივიღობოხნად გაატარებენ, არ იციან, დამ რა მოვლით; დღეს რომ გაუთენდებოთ, არ იციან, იმ დღეს რა უბედურება დაატყდათ თავზე. იფახის მატონმა არ იციან, ხედავ კიდევ ექვსმა ოფანა იუ გადაბუჯავს და ლურჯზე მოხოფარის გულას ეჭიდებენ. ქალი არ ურადება არც სიციფეს, არც ჩადრის წინაშე შიშის და ჩამუსის დასაცვად ჯარის მოახლოებაზე გარბის ტყვი თავზრდაცმული და იქ აფარებს თავს. ბერი ქალი წვეს ამჟამად დოკიში ავადმოკოფი, ზოგი ნამუს-ახელი და დასრულებული,

ბული, ზოგიც შიშით დოკინად ჩავრდინილი, ბერი ტყუაზე შეშლილი ქალი და კაც დადის სითვლებში და კახკების სხელი არ შორდებათ გონებიდან, მრავალი ბავშვი კვდება ანთებით ტყვიებში დამე ტანებულს; შიშველ მწერვად, უსახლ-კაროდ დარჩენილთ თვლა აღარ აქვს... აი ასეთი მდგომარებაში ამოთვება ჩვენი ხალხი ატერ შიშით თვა. შიშით თვა, რაც ხალხს აქვს კისერზე სხი-სიხარო მხეცი და სტანჯვის, სისხლს სწოვს, ნელ-ნელა მჭიდავს...

ეს არ არის ომი ორ მტერთა შორის, ეს არ არის იხვი-სტატიების შიშველ ბურების აკვება, ეს არის რადაც უსახარული მოვლენის ისტორიაში. აქ მტერნი არ იბრძვიან, აქ ბურები არ ეწიან-დმეკებთან ინტელისკლებს. აქ უიარაღო, მშვიდობიანი ხალხზე მოვლის გაშვებული ძეგრი მტერი არა დასჯერობდა და დასამრცხებლად, არამედ გასძარცვავდა და სხვა და სხვა მხეცურ სურვილების დასაკმაყოფილებლად!

მოვისმინათ ფაქტები. რა კუთხიდან და რა უბედურებიდან დავიწყოთ? უკვლავს. უკვლავს კუთხეში, სადაც კი ჯარმა დასდვა ფეხი, ერთი და იგივე უბედურება ხდება. ჯარს ერთი გეგმა აქვს და ამ გეგმას „სინიდასი-ერად“ ასრულებს. სავარაუდოდ ერთს დაზარალებულ დაზახს ან სითვლებში მიხვიდეთ და სრული წარმოდგენა გქმნებათ, რა მოხდა მთელს ქართლსა და დასავლეთ საქართველოში. დაწვა, მოკვლა, ქალთა გაუბრალებობა, ძარცვა-გლეჯვა უკვლავსა და უკვლავს ერთსა და იმავე შიშობებში.

უნდა ვიცოდეთ, რომ ჯარი ტყვილიდან გვიდა სომრად მომხადებელი, ტყვიის მფრქვევებით, ზარბაზნებით, წითლი ჯვრით და სხვა, რომელ ადგილშიც მივადოდენ, როგორც ომის დროს, ფორთხილად, დიდის მხადებით ალესს შემთარტყმდენ, უბრძოლველად (ვინ ებრძოდა?) დაიჭერდენ სითვლს და შემდეგ შეუდგებოდენ თავიანი წესების შემოღებას და ნდავლის მოძაგებას, ე. ი. ძარცვა-გლეჯვას.

ხამურში ჯარი მოვიდა 1 იანვარს, დიდის 9 საათს, — მოვითხრობენ ადგილობრივი მცხოვრებნი, — ჯარის უფროსობდენ ერუენის მოკლის კამბატანი კონთალოფი და ვანდარშის მოკლიანიკარე-დროვი. მატარებლიდან გადმოსვლისთანავე, ჯარი რახმებად დი-ეო, თითვებში მატონები ჩააწყო და სომრად გამხადებული მთელს დაზახს მოკლეს. ერთი რახმმა შექცრა მთელი სადგური. ხალხს აღ რ უშეებდენ არც სადგურზე, არც სადგურდენ. მოკლიანიკარი რედროვი ჯარის კაცებით ავიდა სადგურის მთორ სართულში, სადა ჩავ მატარა ხნის უკან ჩამოყვანეს: მთლად გასისხლანებულ სადგურის უფროსი თანაშემწე ხნ-ნოვი. შემდეგ შეიპერეს სადგურის კაცი-რი ავადგურდოვი, რომელსაც ისე სცემეს, რომ ფეხზე ძიფეს იღვა, გტეხად თავიდან სისხლი თქრადლით გადმოსდიოდა. მთორ რახმმა ში. უკან სადგურზე რკინის ცხის საწოლის სედამხეცელი თთამხედი, ის ც ნაცემ-ნატევი, შესამე მოიყვანა შემანქნე რატანი. ამგვარად რახმებმა ერთი საათის განმავლობაში სადგურზე თავი მოუკრეს 22 კაცს. ეტობლით, უფროსებს სია მქონდათ ხელში და იმ სით იჭრდენ. უკვლავ დაკრულიები ძალზე იყვენ ნაცემი, სატუსადო ვატონში შეიყვანეს და დაატუსადეს. შემდეგ ჯარი შეესია დაზახს. სამი დღის განმავლობაში ჯარის კაცები სძარცვადენ ხალხს, სახლებს, მადახებს. გამვლელ-გომოკლელს ტანზე არაფერს არ არჩენდენ. ხალხს ქუჩაში წადებს ხედავენ და სახლში ფეხშეშეკა ისტუმრებდენ. გაძარცვლი-გატოტვლებული, ნაცემ-ნატევი ხალხი ანთებით მოდიოდა სადგურზე და აფიერებს შეხილიდა, მაგრამ უფროსები ამ საზიხარობას, ავსაკობას, უსინდისო ძალმომრეობას თვალს არიდებდენ და ხალხის სმეველად ხელსაც არ ანძრუვდენ.

დადამდა. ხალხი გაფრთხიდა, გაიქცა და სხვლებში ჩაიკეტა. ახლა საქვეს სხვლებზე მიდგა. დამისი ყ საათი იქნებოდა, რომ ჭარი შეუდგა უმეტრონოდ დარჩენილ დეჩენებისა და მალაზიების ძარცვას. ყ საათიდან მოყოლებული დამის 2 საათამდე რკინის ღობეებით ჭარი ერთგულად, ენერგიულად ამტვრევდა მალაზიების კარებს და გამოჰქონდა სხვა და სხვა ძვირფასი საქონელი. შემდეგ გაძარცვულ მალაზიებს რამდენიმე ალაგას მისცეს ტენცილი და მიერუბული, უმეტრონოდ დარჩენილი ბაზარი ტენცილის ალში გაეხვია იწვოდა საუკეთესო ნაწილი ხაშურისა, სხვად ჩამწვრილებული იყო ორ-სამ სართულიანი სახლები და მდიდარი მალაზიები. კახა-ნები თოფებით იდგენ ტენცილ-მოკიდებულ შენობების გარშემო და ემუქრებოდნენ უმეტრონებს, რომლებიც ტენცილზე მოცივებდნენ და წდიდობდნენ, თავის ქონების ცოტადღანი რამ მანინგ გადაერ-ხანათ.

ამაზე თუ არის ნათქვამი, სახლი რომ გეწოდეს, ზედ ხელი მანინგ მოითხოვ. სახლების და მალაზიების უმეტრონები იდგენ შორი-ახლო და.. თბობდენ.

ამ დამისე კადიწკა ათა ორ-სამ სართულიანი სახლი, შვიდი დიდი მალაზია, დვინის სარდაფები, ლუჯანები, სხვადასხვა, მე-ტურქლებების დუქნები და სხვა. ზარალი 300,000 მანეთს აღე-ბატება.

სახლის შიშის სასლავარი დარ ჰქონდა. მეოთხე დღეს ხაშურ-ში ერთ ადამიანს ვეღარ ნახავდით. მცხოვრებლებმა მიანებეს თავი თავის საწინა-სადადეებლს და გადავიდნენ; დაბაში მხოლოდ ძაღ-ლები და წაწვეკებდნენ, ისიც იმბიტომ, რომ ძაღლის ცაუდვას ასე მანა ხორცის ჭვამი სჭირბო არ იყო: ძვირფასი საქონელი, შინაური ფრინველი, ცხვარი და მსხვილფეხა საქონელი ამ მიზ-ნისათვის მრავალი იყო.

საქმე ამათ არ თავდება, — მე რომ გავათავებ აწერას, არც მის-შინ გათავდება. ჭარის კაცები, რაზმებსად დეოფილნი, სამი დღის განმავლობაში დადიოჯენ ოჯახიდან ოჯახში და... ექვბდენ „წითელ რაზმებებს“ და „აგიტატორებს“. მათ შეთაურობდა ადგილობრივი ზოლიციის სტრანჯიკო, რომლისთვისაც, რაღაც მანკის გამო, ერთს მიტინგზე ეგვიანათ. ამ ვაჭარტანს შემდეგში მოსწირეს სწო-რედ იმ დროს, როდესაც ის კახაკებთან ერთად ნათის ასხმდა ბა-ნაკოვისა და შურკაის სახლებს და ტენცილის მოკიდებებს უმბრე-და. დამიერეს და ორ ზოლიციის ბოქალაის ერთად სამართალში მისცეს. ამ სტრანჯიკმა იცოდა კარგად მიტინგებზე ვინ ლაპარაკობდა, რაზმში ვინ იყო, ადღისვე წითელი ბარაღი ვის ეჭირა და მემ-ღას ოჯახს უჩვენებდა ჭარის კაცებს.

ერთს ოჯახში*) მიიყვანა ამ სტრანჯიკმა, მაუთით მოხუცი ბულ სახლის უმეტრონზე და უთხრა: აო, ამის შვილმა მოჰქვას ჩემი ამხ ნაკი-სტრანჯიკიო. კახაკები დაეროვნენ, დედამ და შვილიც (კასათხვარი 17-18 წლის ქალი) გააუბატოურეს მამის ძალზე სცე-მეს, შემდეგ სამივენი სახლიდან გამოიქვეს და სახლის ძარცვას მიჰყვეს ხელი. გაუბედურებელი, ნცემ-ნატუები დედ-მამა და შვი-ლი დამე, სიცოცხლე გადადიოდენ ერთი მეზობლიდან მეორესთან, მაგრამ სახლში მათ შეშუპას ვერავინ ჰბუდვდა, კარი არავინ გაუ-ღო. ბოლოს ერთ მღვდელს შეებრდა საცოდავნი და სახლში წაი-შენა.

ამგვარი შემთხვევები უფლა ერთმანეთზე უსაზარდესია. იმავე დამის მეორე რაზმი მივიდა ერთ რუსის ოჯახში, სადაც დახვდით მოხუციბული დედ-მამა და ორი კასათხვარი ქალი. ხუ-ლიცანმა, რომელაც ჭარის კაცებს წინ შეუძლოდა, ქალებზე მიუ-თითა და უთხრა მისულებს: აო, ეს „ბარამნები“ წითელ ბარადს

*) გვარის და სახლებს არ ვაცხადებთ, რადიან ვერიდებით, ისე-დაც გაუბედურებულ ოჯახებს მეორე უბედურება არ დავატებთ თავზე.

ატარებდნენ ჭარის კაცებს ჭარ ძაღზე სცემეს იქ მეოფთ, შემ-დეგ დედ-მამა დერეფანში გამოჰყარეს, კასათხვარა ქალები კი მეორე ოთახში გამოაწვედიეს. ახ დწელაწადი იყო, გამოიღო სუფ-რასზე ელაგა შემწვარი ინდოურები, ქათამი, სხვა და სხვა საწმელებ-ბი, ტბილეულობა. დვინი და არაქა. ოთხი სუფრას მიუჯდა, ორა უმაწვილ ქალებთან შევიდა... შემდეგ ის ორი გამოვიდა და სუფ-რას მიუჯდა. მათ ნაცვლად მეორე წყვილი ქალებთან შეკადა, შემდეგ მესამე წყვილი შევიდა... ამგვარად იცქიებოდნენ რამდე-ნიმე საათის განმავლობაში. გამოწრებულმ, დეღამ შემთამტვრეა კარები და გაფთვრებული ქალების ოთახის კარებში ჩადგა, მაგრამ წააქციეს და ქუსლით და მუშტით იმდენი სცემეს, რომ საბრძლო გულშეწუხებული კარებში უძრავად დარც, და ჭარის კაცები, ქლე-ბის ოთახში რომ შედიოდნენ, გულშეწუხებულ დედამ ზედ ამოყებდენ.

აო მესამე მაგალითიც. ამ ამბების მეორე დღეს სადგურზე მოტვრენ დედა და შვილი (14 წლის ქალი). მათი შეხედვა შეზ-რავდა ადამიანს: გაწვეწვილი თმა, დაკწრული სახე და ხელები. შიშო-ღუჯილი ტანსაცმელი. — გიჟებსა ჰგვანდნენ. დედას სადგურის ბუფეტში გული შეუწუხდა. ემწვილმა ქალმა, როგორც იყო, აესენა ჭარის აფე-რებს თავიანთი უბედურება: ჭარის კაცები შემოკვიცივდნენ. გაკვძარც-ვეს, გენგემეს, გვიშველო, ხვეს გამოიქვიცივთ ის ნახვაც იქ დათრე-შობენო ერთი აფიცერი გაჰყა თან უმაწვილ ქალს. ჭარის კაცებს თავისი საქმე უკვე გათავებისათ და ზირდაზირ ერთს დუქნში. ქიოფობ-დნენ. ქალმა უჩვენა აფიცრს: აო ესენი იყენიო, მაგრამ აფიცრმა მოჰქიფებებს ხმა არ გასცა, ქალს კი მიუბრუნდა და უთხრა: ეს რა არის! ცოცხლებს დაგწავთ, ჩამოგახნობთ. აქ უნდა აღვიანთო, რომ ეს დედა-შვილი რკინის ტახის მალაღ მოხელის ცოლშვილია ადრან

მეოთხე ოჯახის მამამ თავისი ცოლი და ავეკუელობა 300 მან-ნეთით დაიხსნა. მეხუთე ოჯახში, როდესაც ჭარის კაცებმა ცოლს ხელი მოჰკიდეს და სახლის ძარცვას მიჰყვეს ხელი, სახლის უმეტ-რონი გამოყარდა კარში და სადგურზე აფიცრებს მიამურს: მიშე-ლეო, სანამ დროა, უბედურებისგან დამიხსენითო. აფიცრებმა დამ-შეგებულის კილოთი უმანუხეს: წადი შინ და ჩვენ ვისმეს გამო-ტახენითო. საბრძლო სახლში როგორ დაბრუნდებოდა, — იღვ ს-დ-ტურზე ატეხული და უდდა, როდის მიიღებდა დახმარებას. მხო-ლოდ სათ-ნახევრის შემდეგ გაატანეს კახაკებთან ურადნაკი, მაგ-რამ გვიან და იყო... იმბიტამც გატახენეს, რომ გვიან იყო!

შეუძლებელია ჩამოთვალოს უკვლავ ოჯახები, რომლებსაც ეს უბედურება აწვათ. სახლში ასხელებენ ორმოცზე მეტს ოჯახს, მაგრამ ვერავინ ვერ ამხელს, ფარავენ, ფიცვან, რადიან იციან კარგად, უბედურებას ველს უშუკლიან და სორცხვალსაც ურადიბან.

ნამარცვ სიკეთებს, ავეკუელობას იქვე ხაშურში უსირცხვილოდ ჰხივდნენ ზანგურის საყვარელი „მამანები“ სამ მანეთად აუბებოდა, ათ თუმანიანი ხაღიხები ზუთ მანეთად სახლი არ გადარჩენილა გ-უძარცვავი ადამიანი არ დარჩენილა გაუჯახავი. ისე აიკლეს, ამ გვარად დაწოაკეს და შელახეს მცხოვრებნი, რომ კავილას: სი, ორასი წელიწადი და დედები შვილებს, შვილები კიდეც თავიანთ შვილებს შაშით ტალსცემენ, რა დაშროა 1 იანვარს 1906 წელს ასე უმიზეზოდ რუსეთის კაშმაგებულმა ჭარმა ხაშურის მცხოვრებთ.

სგ. ე—ნა

(გაგრძელება იქნება).

მიტინგები ინგლისში

ყოველ სახელმწიფოში ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებას განსაკუთრებული, ადგილობრივი პირობებითან შეფარდებული ხასიათი ემჩნევა. იქ, სადაც მართვა-გამგეობაში წარბოზად-გენლობა ახალი შემოსულია, სადაც ხალხი მტარავლობის

კლანჭებში გმინვას შეჩვეულია და სადაც, ამიტომ, მონურ ხასიათს და მონურ ჩვეულებებს ყოველ ადამიანის გულში მაგრად აქვს ფესვი მოკიდებული, პოლიტიკურ ცხოვრებას ვერ ექმნება საჭირო სიღინჯე, იქ მოწინააღმდეგესი პატივისცემა, მასთან შეთანხმებულად მოქმედება საზოგადო მოღვაწის თვალში ხშირად სისუსტისა და გაუგებრობის მანიერებელია. პირიქით, წარმომადგენლობას შეჩვეული ხალხი ერიდება ყოველივე ძალადობას და ცდილობს ზნეობრივ გავლენის საშუალებით აიძულოს თავისი მოწინააღმდეგე იმ გზას დაადგა, რომელიც ხალხის უმეტესობისათვის სასარგებლოა. და სწორედ აქ, ასეთ ქვეყნებში, მაგრად გამჯდარია ხალხის გულში ის აზრი, რომ არც ერთს ჯგუფს ან კლასს სახელმწიფოში აქვს უფლება შეგნებულად და განზრახ გადუღდეს ხალხის უმეტესობის სურვილს და თავისი, როგორც უმცირესობის, სურვილი ხალხის უმეტესობისათვის საფაღდებულად გახადოს.

სხვა ქვეყნებში არსებულ საპოლიტიკო ჩვეულებების შეწვავლა მეტად საგულისხმო და სასარგებლოა პოლიტიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებისათვის, რადგანაც რკმარა სხვა ქვეყნებიდან მხოლოდ პოლიტიკურ ფორმების, პოლიტიკურ წესწყობილების გადმოღება, საჭიროა მასთან ერთად გადმოვიღოთ ის პოლიტიკური ჩვეულებებიც, რომელიც შესაძლოა ხდის ამ წესწყობილებაში ხალხის კეთილდღეობის მიღწევას.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ინგლისი, სადაც ხალხის წარმომადგენლობა უკვე რამოდენიმე საუკუნის შემოსულია. იქ ახლა უმაღლესი სახელმწიფო უფლება იყოფა საზღვრად და ეკუთვნის მეფეს, ზედა და ქვედა პალატებს, ყოველი ახალი კანონი ჯერ ქვედა პალატაში ირკვევა, შემდეგ ზედა პალატაში გადადის და, იქ მოწონებული, მეფისაგან მტკიცდება. ამას ჩვეულება მოითხოვს და ანაირად სამივე შემოადინებული დაწესებულება კანონების გამოცემაში სრულუფლებიანსა ჰგავს, — ნამდვილად კი მეტი მნიშვნელობა და პოლიტიკური გავლენა ქვედა პალატას აქვს, რადგანაც მხოლოდ იგი გამოხატავს ხალხის სურვილებს. ზედა პალატა, როგორც უმცირესობა, მსხვილ მემამულეების წარმომადგენელი, ყოველთვის იძულებული ხდება დაუთმოს ქვედა პალატას და მეფე ხომ მხოლოდ გარეგნად ერევა კანონდებლობის საქმეში, მხოლოდ ფორმალურად ამტკიცებს კანონებს, ნამდვილად კი სახელმწიფო საქმეების მართვასა და გამგეობაში აღარ ერევა მეფე ინგლისში მხოლოდ მეფობს და არა მმართველობს, მმართველობა იქ ხალხს ეკუთვნის, მის წარმომადგენელთა ხელში გადასულია.

ხალხის წარმომადგენლობის შემოღებამ ინგლისში თვით ხალხი არ ჩამოაშორა სახელმწიფო საქმეებს. ხალხი იქ მხოლოდ წარმომადგენელთა არჩევას არ კმარობს და თვითონაც გაფაციკვებით თვალყურს ადევნებს, როგორც ამ წარმომადგენლებს მოქმედებას პარლამენტში, ისე საზოგადოდ მთელ პოლიტიკურ ცხოვრებას სხვა ქვეყნებშიაც და ხმასაც იღებს ყველგან, სადაც ხელ.ეს, რომ მისი წარმომადგენლები საქმარისის მხნეობით და სისწორით არ გამოხატავენ მის სურვილს, ან გვერდს უხვევენ ამ სურვილის განხორციელებას.

საამისო საშუალება ინგლისში მიტინგებია, საჯარო კრებები. ინგლისში არსებობს სიტყვის, კრებების, პრესისის თავისუფლება, პიროვნების და სადგომების ხელუხლებლობა. ყოველ ადამიანს უფლება აქვს გამოსთქვას თავისი შეხედულება მთავრობის მოქმედებაზე, მოიწონოს ან დაიწუნოს იგი და თვით მთავრობას უმაღლესი წარმომადგენლებიც გაჰკიცხოს

საჯაროდ, მთავრობას უფლება არა აქვს საჯარო კრებები აკრძალოს ყველგან, სადაც ადგილი მოიძებნება, სადმე შენობაში თუ ტრიალ მინდორზე. შეუძლია ხალხს შეკრება. ამ კრებებზე ყველა თავისუფლად გამოსთქვამს თავის აზრს, რადგანაც ადმინისტრაციას უფლება არა აქვს დაატუსაღოს მისთვის არა სასიამოვნო რამეების მოქმედი ადამიანი. ვისიმე დატულება იქ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით არის შესაძლო, დატუსაღებული მეორე დღესვე უნდა წარადგინონ სასამართლოში და მისი საქმე პირველსავე სხდომაზე უნდა გაიჩრეს. ყოველ უსამართლო და უკანონო დატუსაღებისათვის პასუხს აგებენ ყველანი, თვით მინისტრებიც კი. უკანონოდ ადამიანის დატუსაღებისათვის კანონი დამნაშავეს სჯის ცახეში ჩასმით ან დაჯარიმებით.

სწორედ ამიტომ საჯარო კრებებს, მიტინგებს ინგლისში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა. არც ერთი მნიშვნელოვანი კანონი არ შემოსულა ინგლისში ისე, რომ ხალხი, მიტინგებზე აზრის გამოთქმით და პარლამენტში ამ მიტინგებზე შემუშავებულ პეტციების წარდგენით არ ჩარეულიყოს საქმეში და პარლამენტისათვის ამნაირად არ ეჩვენებოს, თუ რა აზრს ადგია ამა თუ იმ საკითხის შესახებ ხალხი, ის ხალხი, რომლის წარმომადგენლობას კისრულობს პარლამენტი.

ხალხი ინგლისში აფასებს თავის პოლიტიკურ უფლებებს და მედგრად იცავს მათ ყველგან, სადაც ვინმე ეცდება მათ დარღვევას, იქაც კი, სადაც ეს დარღვევა შემთხვევითაა.

ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ხალხის შეგნება ამ მხრივ მეტად განვითარებული იყო. 1762 წელს ქვედა პალატის წევრმა ჯონ ვილქსმა თავის გახტოში გაჰკიცხა ხელმწიფის სეფე სტყუვა და მინისტრები. ამ წერილისთვის მთავრობამ ავტორის დატუსაღება ბრძანა, და ვილქსი მართლაც დაატუსაღეს. მაგრამ ვილქსმა ამ დატუსაღებაზე სასამართლოში იჩივლა და სასამართლომაც სცნო, რომ მისი დატუსაღება არღვევდა პარლამენტის უფლებ ბს. მეფემ და მინისტრმა გადასწყვიტეს მინც მისი სამართალში მიცემა და, რაკი ხელში არავითარი საბუთი არ ჰქონდათ მის გასამტყუნებლად, ამიტომ მის სადგომიდან მოიპარეს ერთი რალაცა ხელთნაწერი, რომლის დაწერისათვის ციხე მიუსაჯეს და გამოირიცხა პარლამენტის წევრების რიცხვიდან. ხალხი მთავრობის ამნაირმა ქცევა აღელვდა, — ყველას ვილქსის მხარე ეჭირა.

1768 წ. არჩევნების დროს ვილქსი მიდლსექსში პარლამენტის წევრად იქმნა ამორჩეული, მაგრამ მთავრობამ მოიმჩნეა, რომ ერთ დემონსტრაციის დროს ხალხს მოუვიდა შეტაკება პოლიციასთან და დაატუსაღა ვილქსი. სატუსაღოდან ვილქსმა მინისტრ პრეზიდენტს ამის შესახებ წერილი მისწერა, რომელიც მინისტრმა მთავრობის შეურაცხყოფელად მიჩნია და პალატაში წარადგინა, რომ პალატას აეხადა წარმომადგენლობა „უდიერ“ ვილქსისთვის. პალატამაც ხმის უმეტესობით ასრულა მინისტრის სურვილი.

მაგრამ ვილქსის ამომრჩეველები მინისტრების ფეხთამტვერობას არ აპირებდენ. მათ ხელმეორედ აიჩრჩეს იგივე ვილქსი. გულმოსულმა პალატამ გადაწყვიტა, რომ ვილქსის ხელმეორედ არჩევა უკანონო იყო, რაკი იგი თვით პალატამ გამოირიცხა წარმომადგენელთა რიცხვიდან. ხალხმა მიდლსექსში ამის საპასუხოდ მესამედ აიჩრჩია იგივე ვილქსი, მაშინ მთავრობამ ისევე გააუქმა არჩევნები და ახალ არჩევნებში თავისი კანდიდატი წამოაყენა და, თუმცა მას სულ ცოტა ხმა ამოუვიდა, მინც იგი სცნო არჩეულად და პარლამენტში მიიღო. მთელი ინგლისი აღელდა, რადგანაც მთავრობის ასეთი

ქცევა ხალხის უფლებას არღვევდა, — ხალხს სრული უფლება ჰქონდა პარლამენტისთვის აერჩია ისეთი წარმომადგენელი, რომელიც მას სურდა, და არა ის, რომელიც სასიამოვნო იყო მთავრობისათვის. მიდლსექსში მიტინგი შესდგა, რომელზედაც მსჯელობდნენ საარჩევნო თავისუფლების შესახებ. დამსწრე ორატორები ჰკიცხავდნენ მთავრობას.

ამ მიტინგის ანგარიში რომ დაიბეჭდა გაზეთში, ინგლისის სხვა და სხვა კუთხეებში აც ასეთივე მიტინგები შეს გა და პარლამენტს სხვა და სხვა მხარედან მოუვიდა აუარებელი პეტციები. ამ პეტციებში, ვილქსის საქმის გარდა, იყო მოხსენებული საარჩევნო წესების უფარვისობა, მინისტრების ძალმოპოვება, სახელმწიფო მოხელეთა ქრთამები. მაგრამ მინისტრები და პალატა ყურადღებას არ აქცევდნენ ამ პეტციებს და ამბობდნენ, — აქ ხალხი არაფერ შუაში არისო, ამ პეტციებს მხოლოდ რამდენიმე მყვიარალა ადამიანი ადგენსო.

მთავრობის გულგრილობამ მხოლოდ გააძლიერა აგიტაცია, რომელსაც ქვედა პალატის ზოგიერთი წევრიც მიემხრო. ცნობილი მოღვაწე ედმუნდ ბარკი ამ პალატაში იცავდა კიდევ მიტინგების თავისუფლებას და ამბობდა: „მე თანახმა არა ვარ იმათი, ვისაც ეს მიტინგები საზოგადო მყუდროების დამარღვეველი ჰგონია. მე მომწონს ეს ხმაურობა, როდესაც მას თვისი მიზეზები აქვს. დამე ზარის ხმა გვაწუხებს, როდესაც ცეცხლი უკიდია შენობას, მაგრამ ამავე დროს ეს ხმაურობა ცეცხლში დაღუპვას გვაშორებს თავიდან. როდესაც ხალხის წარმომადგენლები გულგრილად ეკიდებიან საზოგადო საქმეებს, როდესაც იგინი კანონს არღვევენ და თვითნებობას იწყებენ, — მაშინ ხალხს სხვა გზა არ რჩება, იგი იძულებულია თითონ ჩაერიოს საქმეში და თავისი დარღვეული უფლებები დაიცვას“.

აგიტაციის გავლენით ქვედა პალატის 76 წევრი გადაუდგა მთავრობას და 1784 წელს, როდესაც მიდლსექსის ამოძრწველებმა ისევ ვილქსი დაასახელეს თავის წარმომადგენლად პალატაში, პალატამ და სამინისტრომ ხმა აღარ ამოიღეს და ვილქსი ქვედა პალატაში სრულუფლებიან წევრად შევიდა.

ეს ხალხის გამარჯვება იყო, ამ გამარჯვებაში თვით ვილქსის არჩევას კი არ ჰქონია მთავარი მნიშვნელობა, — ერთით მეტი ან ნაკლები პატრონის დეპუტატი ცხოვრების მიმდინარეობას ვერ შეცვლის, — მნიშვნელობა ამ გამარჯვებას ჰქონდა ზნეობრივი. მან დაანახა ხალხს, რომ მეფეს, მის მინისტრებს და თვით პარლამენტსაც კი არ შეუძლია ხალხის დაჩაგრვა იქ, სადაც ხალხის ყველა ნაწილი, ხელიხელ ჩაკიდებული, ერთად იბრძვს რომელიმე მიზნის მისაღწევად და თავის საერთო სურვილს გადაქრით აცხადებს.

ვილქსის საქმე ჯერ არავის დავიწყებული არ ჰქონდა, როდესაც ხალხს ინგლისში კიდევ დასჭირდა მიტინგების საშუალებით თავის სურვილის გამოთქმა მთავრობის სახელმძღვანელოდ.

1776 წელს ამერიკის შეერთებული შტატები ჩამოშორდნენ ინგლისს და მას ომიანობა დაუწყეს. ამ ომიანობას მოჰყვა ომი საფრანგეთსა და ისპანიასთან. ინგლისი მარცხდებოდა, ომზე აუარებელი ფული იხარჯებოდა, გადასახადი გადასახადს ემატებოდა და დაღარიბებულ ხალხს მძიმე ტვირთად აწევებოდა კისერზე. ცხოვრება გამწვანდა, გაძვირდა, ხალხი გაკირვებაში ჩავარდა. და ამ დროს მთავრობა დიდ ჯამაგირებს ურიგებდა თავის ახლობლებს, მრავალ უსარგებლო მოხელეს ხალხისაგან რის ვაი ვაგლობით შეგროვებულ ფულს აქმევდა.

ამის გამო ხალხში აგიტაცია დაიწყო, რომელსაც „ეკონომიურ“ მოძრაობის სახელი დაერქვა.

ეს მოძრაობა ჯერ იოსკშირის საგრაფოში დაიწყო. ერთ მიტინგზე დამსწრე ხალხმა შეიმუშავა პეტიცია, რომელშიაც იყო აღნიშნული, რომ ხალხი უზომოდ იტნჯება გადასახადების სიმძიმისაგან და ამავე დროს ხედავს, როგორ უსარგებლოდ იფლანგება ხაზინის ფულიო. ხალხი სთხოვდა ამ საგრაფოს კომისიის შედგენას, სთხოვდა უსარგებლო სამსახურის გაუქმებას, დაუმსახურებელ პენსიების მოსპობას. ამ მიტინგს ინგლისის სხვა კუთხეებში სხვა მიტინგები მოჰყვა. ყველა მიტინგებზე გადაწყვიტეს შეერთება, საერთო კავშირის და კომიტეტის შედგენა. პარლამენტს ინგლისის ყველა კუთხიდან ეგზანგებოდა პეტციები. აგიტაციამ თვით ქვედა პალატაშიაც მოიკადა ფეხი და აქ ხალხის სურვილებს რამოდენიმე მოსარჩლევ გამოუჩნდა. სხვათა შორის უკვე მოხსენებული ედმუნდ ბარკი ცხარედ ჰკიცხავდა არსებულ სისტემას და სახელმწიფოს ხარჯებში მოშპირნობას ითხოვდა. ქვედა პალატამ განიზრახა ხარჯების შემცირება, გადაათვლიერეს მოხელეთა სიები, ნახეს, რომ ყოველ წლიურად 2 მილიონი მანეთი მაინც უსარგებლოდ იხარჯებოდა.

პალატის სამისო განზრახვა სისრულეში არ მოვიდა, მაგრამ ხალხის გამარჯვებად ისიც კმაროდა, რომ მიტინგებმა აიძულა მეფე და პარლამენტი, გაეცნად მაინც, დაეთმოთ ხალხისთვის და მის სურვილების მიხედვით მოქცეულიყვნენ.

გამოცდილებამ ინგლისელებს დაანახა, რომ მიტინგებს განსაკუთრებული პოლიტიკური ძალა და მნიშვნელობა ეძლევა იქ, სადაც ხალხის მოძრაობას მეთაურობს რამე მტკიცე ორგანიზაცია, რომლის განყოფილება ინგლისის ყველა კუთხეში მოფენილია. ამ ორგანიზაციების ძალა გამოჩნდა განსაკუთრებით იმ მოძრაობაში, რომელსაც კათოლიკეთა განთავისუფლების სახელი დაერქვა.

ინგლისში მეჩვიდმეტე საუკუნეს აქვთ პროტესტანტობა გავრცელდა და კათოლიკე სარწმუნოება, რომელსაც წინედ ადგა მთელი ხალხი, ახლა დევნილი შეიქმნა. კათოლიკეებს საარჩევნო უფლება წაართვეს, მათ სახელმწიფო სამსახურის კარები დაუხშეს. როდესაც 1778 წელს პარლამენტმა კათოლიკეებს ზოგიერთი შეღავათი მიანიჭა, პროტესტანტ ინგლისში ამის საწინააღმდეგო აგიტაცია დაიწყო. აგიტატორები ხალხს არწმუნებდნენ, ამ შეღავათების შემოღებას თან მოჰყვება კათოლიკეთა გაბტონებაო. ამბობდნენ, რომ საჭიროა კათოლიკეების ანაოღეტაო. ამ მოძრაობას მეთაურობდა ლორდი გორდონი და პოლიცია გულდამშვიდებით და გულზე ხელდაკრფილი უყურებდა ამ პროვოკაციას, რომელიც ბოლოს მართლაც სისხლის ღვრით დასრულდა.

1823 წელს ორი ირლანდელი, კონნელი და შეილი კათოლიკეთა განთავისუფლების მოძრაობას სათავეში დაუდგნენ. კონნელი გასაოცარ მჭრმეტყველებს პატრონი იყო, შეილი — ორგანიზატორი. მათ შეადგინეს კათოლიკეთა კავშირი, რომელმაც მიზნად დაისახა პარლამენტისაგან კათოლიკეთა უფლებების ყოველივე შევიწროების მოსპობა. მალე ყველა სოფელში ამ კავშირის განყოფილება დაარსდა, ყველაგან მიტინგები იმართებოდა და საუკეთესო ორატორები ლაპარაკობდნენ ხალხში. ხალხის ერთსულობა ისეთი ძლიერი იყო და კავშირის დისციპლინა ისეთი სრული, რომ კავშირმა მოახერხა ერთ დღეს ირლანდიის ყველა კუთხეში ერთდროებითად 2500 მიტინგის მოხდენა, 7 მილიონ ხალხის ფეხზე წამოყენება სასურველ უფლების მოსაპოვებლად. ამ

მიტინგებს ყველგან მშვიდობიანი სახე არ ჰქონდა. კლონმელში, მაგ., 50 ათასი ადამიანი შეგროვდა. მიტინგი სამ დღეს გაგრძელდა. შეკრებილი ხალხი, ჯარივით დაწყობილი და შეიარაღებული, ქუჩა-ქუჩა იარებოდა.

მთავრობამ ჯერ განიზრახა ამ მოძრაობის ჩაქრობა და გამოაცხადა ყოველივე შეარღვეულ მიტინგს ჯარები გაჰყენებოდა, მაგრამ მალე მან შეიცვალა თავისი მოქმედება: ხალხის მეთაურებმაც ეს შენიშნეს და გაახშირეს შეარღვეულ მიტინგების მოწვევა. მთავრობამ დაინახა, რომ ორში ერთი უნდა აერჩია: ან ომი ირლანდიასთან და ან დამოკიდება. სანამ ჯერ გვიან არ იყო, მან ისევ ეს მეორე გზა ირჩია და 1829 წელს კათალიკებს პროტესტანტებთან სრული თანასწორობა მიენიჭათ.

ირლანდიის მაგალითმა ინგლისის ხალხსაც დაუმტკიცა აშკარად, რომ შეთანხმებულ მოქმედებას და ორგანიზაციას განუზომელი მნიშვნელობა აქვს იქ, სადაც ხალხი მიტინგების საშუალებით ებრძვის მთავრობას და ცდილობს თავისი სურვილი გააბატონოს სახელმწიფოში. ს. ჭარ — მუ.

(დასასრულა შემდეგ).

გალატაკების თეორია

(იური გარდენინის წერილიდან)

რას გულისხმობენ „გალატაკების თეორიით“ თანამედროვე სოციალისტურ ლიტერატურაში და ვინ აღიარებს ესა და ამ თეორიას?

გალატაკების თეორია გვაუწყებს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოების განვითარებას თან სდევს თანდათან დაქვეითება მუშათა კლასის მატერიალურ მდგომარეობისა. თავის წმინდა სახით ეს თეორია გვხვდება ხოლმე დროგამოშვეთ პოპულარულ სააგიტაციო წიგნაკებში, რომელთა ავტორები ძლიერ ნაკლებ ცდილობენ თავიანთ ფორმულებს მისცენ მეცნიერული სისწორე: ისინი უფრო მეცადინეობენ, რაც შეიძლება, მაგრად და ფიცხლად გამოვიდნენ მგვარ ლიტერატურაში, რომელიც იღებებს არ ამაჟღავნებს მხოლოდ, არამედ კიდევ აუჟღავნებს, რომელიც აღაგებს მათ არა უბრალოდ, მდამბო—გასაგებ ფორმაში, არამედ ხელოვნურად აუბრალოებს და ამ „გაუბრალოებისათვის“ ხდის მათს შინაარს ვიწროდ და ღარიბად. ამგვარ ლიტერატურაში მასათა გალატაკება, მათი ცხოვრების მატერიალურ და კულტურულ მდგომარეობის გაუარესება ხელსაყრელ საფრთხობელას როლს თამაშობს,—ამ არგუმენტით აქებებენ მუშებს, რომ მათ დაამსხვრიონ ფუძენი ბურჟუაზიულ წყობილებისა, სადაც აუცილებლად ხდება მათი ბედის პროგრესიული დაქვეითება.

რაც შეეხება რამოდენიმედ სერიოზულ მარქსისტებს, ისინი, რასაკვირველია, ამ ფორმით არ იღებენ ამ თეორიას. „არც მარქსს, არც ენგელსს, არც ლასალს, არც როდბერტუსს არ აქვს ეგრედ წოდებული თეორია გალატაკებისა, რომლის მიხედვით კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთად ვითომ ძლიერდება მასათა სიღატაკე“, — გადაჭრით ამტკიცებდა ანგუსტ ბებელი ჰანოვერში წარმოთქმულ სიტყვაში წინააღმდეგ ბერნშტეინისა. და თავის მხრივ იგი არა ნაკლებ გადაჭრით უმატებდა: „თავისთავად საგულისხმოა, რომ მუშათა უმეტეს ნაწილის მდგომარეობამ—თუ მას განვიხილავთ აბსოლუტურ ხედვითი წერტილიდან—აიწია, გაუმჯობესდა“. არა ნაკლებ გადაჭრით აღიარებდა კარლ კაუტსიც, როცა ამტკიცებდა,

რომ „სწორედ უფრო მეტად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში შეუძლებელია აქმა, ვითომ ფიზიკური სიღატაკე მატულობდეს; პირიქით, ყველა ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ფიზიკური სიღატაკე კლებულობს, თუმცა-ღა ძლიერ ნელი ბიჯით. მუშათა კლასის მდგომარეობა ესლა უფრო მაღლა დგას, ვიდრე ამ 50 წლის წინეთა“. სწორედ ასე ავსტრიაშიც ბრუნის პარტიე ტაგზე ჰანინხმა განაცხადა, რომ გალატაკების თეორია მივიწყებულია, და არავის მხრივ არ შეხვედრია გამოდევბა.

მაშ, რაღაში მდგომარეობს დავა, თუ კი გალატაკების თეორიის მომხრენი აღარა ჰყავს? ეს დავა ისტორიულ-ლიტერატურულ ხასიათისაა. ეგრედ წოდებული „რევიზიონისტები“ ამტკიცებენ, რომ გალატაკების თეორია შედის მარქსიზმის დოგმაში და ამ მუხლში დოგმა უნდა იქმნას შესწორებული. ორტოდოქსები კი, პირიქით, იმას ამტკიცებენ, რომ გალატაკებს-ს თეორია, აბსოლუტურ მნიშვნელობით, არასოდეს არ ყოფილა დოგმაში შესული და ამისათვის არცა-რა არის შესასწარებელი, საჭიროა მხოლოდ მისი სწორი გაგება.

„კაპიტალის“ პირველ ტომში (გვ. 667) ჩვენ ვკითხულობთ:

„კაპიტალის მგნატა რიცხვის თანდათან კლებასთან ერთად... მატულობს სიღარიბე, თრგუნვა, დამონება და ექსპლოატაცია, მაგრამ ამისთანავე იზრდება უკმაყოფილება მუშათა კლასისა“.

ან კიდევ მეორე ალაგს (გვ. 562):

„სიმდიდრის დაგროვება ერთს მხარეზე ჰქმნის იმავე დროს მეორეზე, — ესე იგი იმ კლასის მხარეზე, რომელიც ჰქმნის თავის ნაწარმოებს კაპიტალის სახით, — სიღატაკეს, შრომის სიმწელეს, შეუსმენლობას. გაველურებას და ზნეობრივ დამცირებას“.

კაუტსის განმარტებით, მარქსს აქვს აქ ლაპარაკი ტენდენციურ გალატაკებისაკენ, ტენდენციურ, რომელიც თან სდევს კაპიტალისტურ წყობილებას მეორე, წინააღმდეგ ტენდენციასთან ერთად: — შეერთება მუშათა კლასისა თვით კაპიტალისტურ წარმოების პროცესის მიერ, მის საწინააღმდეგო ძალის ზრდა მისავე დამონავებელ ძალთა წინააღმდეგ. ამნაირად, არ არსებობა ფაქტიურ დაქვეითებისა, მუშათა კლასის მდგომარეობის რეალურ და აბსოლუტურ გაუარესებისა სრულიად არ მოწმობს თვით ტენდენციის არარსებობას: მისი მოქმედება ქარწყლდება მხოლოდ სხვა ტენდენციით. „ჰქრება მხოლოდ ზოგიერთი მოქმედება ტენდენციისა და არა თვით ტენდენცია.“ ეს ტენდენცია განუყრელადაა შეკავშირებული კაპიტალისტისა და მუშის ინტერესების წინააღმდეგობასთან, — პირველის მისწრაფებასთან მიიღოს შემოსავალი მეორის გაყვლით.

გარდა ამისა, იმავე განმარტების მიხედვით, მარქსს ჰქონდა სახეში არა აბსოლუტური ფიზიოლოგიური გალატაკება, არამედ—ასე რომ ვსთქვათ — შედარებითი, „სოციალური“. თუ რომ პროლეტარიატის კეთილდღეობის ზრდა უკან რჩება ნაციონალურ სიმდიდრის საერთო ზრდას და აგრეთვე იმ წილის ზრდას, რომელიც ხვდება ექსპლოატატორთა კლასს, მაშინ მუშათა კლასი შედარებით ამითთან თანდათან ლატაკდება. „ნაწარმოებთა მასსა, რომელიც ხვდება თვითველ მუშას, მატულობს, ხოლო მისი წილი ნაწარმოებთა მასსაში კლებულობს; კულტურის ზრდასთან ერთად იზრდება აგრეთვე მისი სხვა და სხვა მოთხოვნილება, ხოლო ამ ზრდას უკან რჩება მათ დამაკმაყოფილებელ საშუალებათა ზრდა, და წინა-

აღდგომა მათ შორის თანდათან მატულობს. ამ „სოციალურ“, „რელატივ“ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ მარქსის ტერმინი „გალატაკება“. არნა, თუ ამ სიტყვას ფიზიოლოგიურ მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ, რასაკვირველია, მარქსის მტკიცება შეცდომა იქნებოდა.

რევიზიონისტები თავის მხრივ ამტკიცებენ, რომ კუნოვისა და კაუცკის მხრით ეს სოფისტური, ხელოვნური ახსნა-განმარტებაა (Толкование) მარქსის სიტყვებისა და სხვა არაფერი. ჰერცი მხამიანად აცხადებს მარქსიზმის ქეშარიტებათა „რელატივად“ გარდაქმნას:

„ამ შემთხვევაში ჩვენ თავზიანად გთხოვთ, წინაწინვე საკმაოდ ნათელი გამოთქმა მისცეთ ყოველივეს მაგ თქვენ „რელატიურის“ სიტყვანმარტებას. მაშინ თქვენ დახლოვებით ასე დაიწყებთ ლაპარაკს: შუათანა წრენი კლებულობენ — რელატიურად, საზოგადოებრივი ანტაგონიზმი მწვავედება — რელატიურად, ხალხი ვარდება სიღატაკეში — რელატიურად, დარჩება მხოლოდ ერთი ულტრა დიდი კაპიტალისტი, მის გარეშე კი არ მქონენი — რელატიურად, და ასე ამ ნაირად აქ „რელატიური“ პირდაპირ „მისტიური“ ვადადის.

„შემდეგ, კაუცკის აზრით, გალატაკება ნიშნავს ტენდენციას, რომელიც აწევბა მუშათა მასსას: იგი იჩენს თავს იმ შემთხვევაშიაც კი, როცა მუშა მედგრად უდგება მას წინ და იუმჯობესებს თავის მდგომარეობას; მიუხედავად ამისა, გალატაკება მაინც ძალაში რჩება, როგორც ტენდენცია, გალატაკება რომლისათვისაც ჩვენ შეგვეძლო მოგვეცა შესაფერი სახელი, აბსოლუტურ და რელატიურის მაგიერ... ტენდენციურ გალატაკებისა“.

რომელი მხარეა მართალი? თავის ახსნა — განმარტებისთვის ორტოდოქსებს მოჰყავთ შემდეგი დასაბუთება. ისინი ამბობენ: მარქსი სრულიად არ საჭიროებდა სიღატაკის „რელატიურად“ გაგებას, რადგან ასეთი გაგება უკვე შევიდა მეცნიერებაში, მაგალითად ლასალი ამბობდაო:

„ყოველი კაცობრიული ტანჯვა და ვაება დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, თუ როგორ უდრიან ერთმანეთს განსაზღვრულ დროს დამკაყოფილებელი საშუალებანი და ცხოვრების მოთხოვნილებანი და ჩვეულებანი. ყოველი კაცობრიული ტანჯვა და ვაება, როგორც ყოველი კაცობრიული დამკაყოფილება და, მაშასადამე, ყოველი კაცობრიული მდგომარეობა იზომება მხოლოდ შედარების გზით იმ მდგომარეობასთან, რომელშიაც იმყოფებიან სხვა ადამიანები იმავე დროისა მათ ცხოვრების ჩვეულებრივ მოთხოვნილებათა მიხედვით. ყოველივე მდგომარეობა რომელიმე კლასისა იზომება ყოველთვის მხოლოდ იმავე დროის სხვა კლასების მდგომარეობასთან შედარებით.“

არა ნაკლებ ნათლად საზღვრავს ამას როდბერტუსიც, რომელიც ჯერ კიდევ თავის პირველ „სოციალურ წერილებში“ კირხმანის მიმართ (1850 წ.) განმარტავს: „სიღარიბე არის წესი საზოგადოებრივი, ესე იგი რელატიური“.

დაადგინეს-რა, ამნარად, რომ „რელატიური“ ახსნა-განმარტება არის ნამდვილი და არა განზრახვამი გონილი, ორტოდოქსები შემდეგ ასე მსჯელობენ: შესაძლებელია აბსოლუტურ გაგებასთან ერთად შედარებითი ვაგებაცო. საჭიროა მხოლოდ ვაცოდეთ, რომელს მეტი დასაბუთება აქვს: აბსოლუტურს, თუ რელატიურს. ამ მიზნით უნდა მივმართოთ მარქს-ენგლის სის სხვა ალაგებს და ვნახოთ, რომელ ახსნა-განმარტებას უფრო ეთანხმებიან ისინი: თუ აღმოჩნდა, რომ — მეორე ახსნა-განმარტებას, მაშინ მართალი ჩვენ ვიქნებით და არა რევიზიონისტებია.

და ორტოდოქსები კიდევ უფროთებენ იმაზე, რომ „კაპიტალის“ იმავე პირველ ტომში ნათქვამია იმ „დიდს ფიზიკურ, მორალურ და ინტილექტუალურ ნაყოფზე“, რომელიც მოაქვს მუშებისათვის საფაბრიკო კანონმდებლობას; ნათქვამია, რომ ამ კანონმდებლობის განვითარება „ხელი-ხელ მიდიოდა ფაბრიკის მუშის ფიზიკურსა დი მარალურს აღორძინებასთან“, რომელიც უნდა შეეძინა თვით მხედველობა მოკლებულ მეთვალყურესაც“. როგორ-ღა შეიძლება ამის შემდეგ მუშათა „გალატაკება“, „დათრგუნვა“ გავიგოთ აბსოლუტურად? კითხულობს ბებელი:

„ამხანაგებო! მითხარით ერთი, როგორ შეეძლო ყველა ეს დაეწერა მარქსს, თუ იგი გალატაკების თეორიას ბერშტეინის განსაზღვრის თანახმად იღებდა? ეს იქნებოდა უდიდესი წინაღმდეგობა, რომელიც მისთვის ძნელი არ იყო დაემტკიცებია. თუ რომ გალატაკების თეორია მართალი ყოფილიყო, მაშინ მარქსს არ შეეძლებოდა გალაშქრება სამუშაო ქირის რკანის კანონის საწინააღმდეგოდ!“

გარდა ამისა, ორტოდოქსებს შეუძლიათ თავის სასარგებლოდ მოიყვანონ ფრიდრიხ ენგელსის ორი მოწმობა: ერთი — მის წერილიდან კაუცკის მიმართ 1890 წ და მეორე — მის სტატიიდან ბრენტანოს წინააღმდეგ 1891 წ.

„მართალი არ არის ის აზრი, ვითომ პროლეტარიატის სიღატაკე თან და თან მატულობდეს. ორგანიზაციის ზრდა ხელს უშლის სიღატაკის ზრდას. ხოლო, რაც უფროდ მატულობს — ეს უზღუნველყოფა პროლეტარიატის არსებობისა“.

„ყოველთვის განმეორებული მითითება ამ მოკლენაზე, რომ მუშათა კანონმდებლობას და მუშათა კავშირების ორგანიზაციას შეუძლიათ გააუმჯობესონ მუშათა მდგომარეობა, არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება ბრენტანოს აღმოჩენად. დაწყებული წიგნიდან: „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ (1845 წ.) და „ფილოსოფიის სიღატაკე“ (1845 წ.) ვიდრე „კაპიტალში“ და ჩემს უკანასკნელ წერილებამდე, მე და მარქსი ყოველთვის ვამტკიცებდით ამასვე“.

ასეთია ორტოდოქსების არგუმენტაცია. უმთავრესი მისი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მას არაპირდაპირ დასაბუთების ხასიათი აქვს. იგი იქნებოდა სწორი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვირწმუნებთ, რომ ისეთ მოაზრეთ, როგორც იყვენ მარქსი და ენგელსი, დღესავით ნათელ წინააღმდეგობაში ჩავარდნა არ შეეძლოთ... პირდაპირი დამოწმება იმისა, რომ მარქსს გალატაკება „რელატიურად“, „სოციალურად“ ესმოდა, ორტოდოქსებს არ მოუციათ. მათ ვერ მონახეს ვერც ერთი ალაგი, სადაც მარქსს ჰქონდეს ახსნილი „რელატიური“ მნიშვნელობა თავის ტერმინოლოგიისა. გ. ბ.

(დაასრული იქნება)

კეთილი მთავარი

თუა და არა იყოთა, თუა ერთა კეთილი მთავარი. თუიღა ქვეყანაზე იქეთათა კეთილი მთავარი, მაგრამ მამულა იფა, სან დუიის ვილაიტის მთავარი, ნამდვალად კეთილი მთავარი თუა. სულეამ ბუვის მაკვლისთვის მესტაფა იფენდის ჩამახჩნაბა ცადა-უწუფიტა სამხედრო სამმართველამ. ცადაწიკტალება აღსრულებაში კერ მოჰყავათ, რადგან მთავარი ხელის მამულას აკვანება.

— თქვენს აღმატებულებას! დედამამაძინ თავის დაკრძალ მთახრეს მთავარს ერთ-ერთმა სამხედრო სამკლას წყევამა არამზადამ. — ნუ უთუმანობთ, ხელი მააწერეთ განჩენს, მთელი მხედრება თხო-

დაბის მუსტავის დასწვად... სისხლისთვის სისხლი უნდა დაიღუპოს, ასეა კანთაგან დადგენილი დებულება.

— რად არის აგრე? და თუ აგრე, განა არ შეიძლება ეგ უსმართლო დებულება ჩვენ შევსწოროთ?... მუსტავამ მოჭკადა სულეიმ ბეგი ამისთვის, რომ სწამდა, იმის სიკვდილით გადაარჩინა სიკვდილისათვის თავის საბრძოლო მოძქეთ, რომელთა დანაშაული მხოლოდ იმში გათიხატებოდა, რომ თავიანთი შიმშილზე, წყურვლზე, უვიღურეს გატორვებაზე ხმა მადლა ევიროდნენ და ამ ევიროლით ბედნიერით მოსვენებას ურეუდნენ მუსტავის სწამდა, დარწმუნებული იყო, რომ სულეიმ უსმართლოდ, გულ ქვად სისხლს აქცევდა, საბრძოლო ტუფს აძრობდა, იმა ნახევრად დანგრეულ კერას სულ გრძელს უჭრებდა, სატუსადობში აღშობდა, და უსმართლოდ დასჯულ მოძქეთა შური იძია, მოხლო თვით შურის ძიების განხორციელება...

ამე მესმის ევირდის თავგაწირულება, მოძქეთა დახსნისათვის თავის შეწირვა და ხატვის ცემა იმის ვაჟკაცობის...

ჩამოხრწობა კი საშინელი, საზიზღარი, ავაზაკთა და ცოფიანთა სასჯელია... მუსტავამ განთავისუფლა ქვეყანა ავაზაკისაგან, გასწმინდა ჭაბურღის მძოვრისაგან და ამ საქციელისთვის ათასნი მადლობით და თუჯინის ცემით მოიხსენებენ იმის სახელს, ძვირფას მატურს აუტევენ იმის საშის და ჩვენ კი უნდა შეურაცხვეთი, უსამართლოდ წამება მივაყენოთ?... არა, არ ძალმიძს მე ამ კანთაგანს და სათნოებით სავსე ადამიანს სიკვდილი მივუსჯო და შერე ჩამოხრწობით.. არა! არა! მე მაგ განაჩენზე ხელს ვერ მოვაწერ...

— მოწუალეა ხელმწიფე, კეთილი მწვემსო! მოწვეებით მიუგო მსაჯულმა მთავარს. მე მესმის თქვენი საზიზღარი, თქვენი კეთილი გულის ღმობიერება და კანთ-მოყვარება, მაგრამ კანთადსრულებას თხოულობს, მისი აღსრულება ქვეყნის მშვიდობას და წესიერებას მიანიჭებს და თქვენ ნება არა გაქვთ ის გაბათილოთ, თქვენ იძულებული ხართ, ხელი მოაწეროთ, თქვენს უჩემურად სისხლი დაღვროთ, სახლხო გვირი ცოფიან ძალით ჩამოხრწოთ... წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი სამხედრო ძალა ზირს მოგობრუნებთ თქვენ და მის გადაწყვეტილების დარღვევისთვის...

— შეიძლება, მე თვითონ ჩამამხრჩონ? მწუხარებებს ღიმილით განაწვევტინა მთავარმა მსაჯულს.

— მაპატიეთ, მაპატიეთ! ძვირფასო ბატონო, — გიდეგ უფრო მოაწვეებით და დაბლა თავის დაკვრით მოახსენა მთავარს მსაჯულმა, — მაგრამ სამხედრო აჯანყება მკაცრი, შეუბრალეული, ამკაცრებული თუკანა — და შთანთქმის ეველათერს, რაც კი წინ გადაელობება... მთავარი დაფიქრებულა, წარბებ შეკრული დიდხან დადიოდა თავის ძვირფას ხალხებით მოფენილ დარბაზში და დიდ ჭმენვაში იყო წასული. — „კანონი ძლიერია... სამართალი და ჩვეულება ხელშეუხებელია...“ ნაწვევტინაწვევტურად ლულულებდა ის. „მაგრამ კაცი უფალია, უხუნესი არსებაა, მისი გონება და სურვილი შეუხლდეულია, აზრი და ძლიერება უსიფერო და ამ იარაღებით და არღვევს კანონებს, სიმართლეს და ჩვეულებებს უკუ აკლებს და ახლს შეიქმს... ახლს, უკეთესს, უსმართლესს და უმშენიერესს...“

მსაჯული ააგზაღწეული ვერს უკლებდა მთავრის გულნადებს და მწარედ იღიმებოდა: „დახ, კაცი ძლიერია და თდესმე გაიღვიძებს და დედამიწაზე საშითხეს დაამკვიდრებს, მაგრამ დღეს კი შენ უძღური, დღევანდელი კანონების აღმასრულებელი სუსტი შევე ხარ და მუსტავა ევირდის სახრხოვლასზე ასაუფან განკარგულებასზე ხელს მოაწერ“.

მთავარს მთელი დამე არ სძინებია. ის შეუუჩენებლივ ბოლთას

სტემდა თავის ფროთ თიხში და ხშირად თხრავდა. იმის სეინდისი საშინელის ქვეშით იყო შეშურბილი. ხანდახან, როდესაც ნთლად წარმოიდგინდა მუსტავა ევირდის, ამ ჭურ ნორხს, ასლად წვერულვამ ამწვანებულ უმაწვილ კაცს, სათნოებით და კანთ-მოყვარე შეხედულებით, თვალებზე ცრემლები ადებოდა. თქმა რა წმინდა და წრფელი იყო ამისი სიტუებები მსაჯულებას წინაშე! ამე ავასრულე ჩემი მოწოდება და თქვენ უნდა აასრულოთ თქვენი. ვინც, რომ სიკვდილით დასჯა მომულის და მხად ვარ.“ არც შიში, არც თროლვა არ დრეცავდა იმის გაშლილ შუბლს, მის კეთილს, დიდს შავ თვალებს რადაც ზეცური ცილი აცემიებოდა და თვით გულქვა მსაჯულებს გულში სირცხვილს და შინაგანს უღვიძებდა

„... არა, არა! ის ავაზაკი არ არის და ავაზაკურად კი უნდა დასაჯონ იმით, ვინც დირსნი რ არიან იმის ფეხთა მტვერი აღთკონ...“

„მე ხელი არ მოვაწერე გადაწყვეტილებას, მე ხელი დავიხსნე იმის სისხლის დაქვევის საქმეში... მაგრამ შეიძლება უჩემოდან დასრულონ მსაჯულთა დადგენილება!..“

„ოხ, თხი კანობრიობა! როდემდინ უნდა სტურავდე უსამართლობის მორეში!..“

მთავარი ბანზე გავიდა და მადლიდან გადახედა არემარეს. მშენიერი დილის რეურაჟი იყო. აღმოსავლეთი ოდნავ კრთოდა ამომავალ მზის მოლოდინში. გასაფხულის ჭაბური რადაც გამოურკვეველ სიტუებებით და ნახის შეუდროებით იყო გაჟღერილი. დიდი, მღვრე მდინარე ნელ-ნელა, ბურბურტათ მაიზლასწებოდა ამწვანებულ მიდ მოზე. ქალაქი დილის ტბილის ძილით იყო ჭურ შეშურბილი.

— ალას! ალას! რა მშენიერად და დიდებულად შექქმენ ცა და ქვეყანა, რა სრული ჭარმონია მიანიჭე ბუნების მოგლენათა შეთანხმებას! რა მშენიერია ეს ნათელი, მომთხრტავი სიბნელის, — შეჭვივარა მთავარმა და ხელები ხეცისკენ აღაშერო ღვთის სადილებად...“

შენებ შორეულ გორაკზე, კანთადის ციაცზე, ხალხის გროვა დაინახა და მათ შუა მარაული სახრხოვლად, რომელზედაც თეორ სუდრეში გამონაქთული გვაში ხანწიალებდა.

ფაშამ თვალებზე ხელი მიიფარა, მუსლებზე ადგა და თავის აღტაცებული ღაღადი ღვთის განახენ სიმშენიერის შესახებ ასე დაასრულა:

„გაცი კი, შეუთეო, ეს გვირგვინი შენის ნამოქმედრისა, ვერ აცდინე სიბნელეს და ცოდვას დაუსრულებელს! სინათლე, სინათლე, როდის მოჭფენს სულს მას, ჩაბნელებულს!..“

კე. გაბაშვილისა

რედაქტორი ფ. ვოგინაიშვილი
გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.

ახალი თხზულება გ. გვაზავანის:

შალვა ოლიუელი

შინაარსი: საბერძნეთი, როონის კიდე, ქუთაისი, ღამე ქალების სასწავლებელში, ღამე ქუთაისში, ღამე ენეცუაში, გონდოლა და სერენადა.

ფისი ერთი მან.
ისყიდება წ. კ. საზოგადოების მღაზიაში. (2—1).